პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК и ТК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 38-ე წელი № 52 (11056) | სამშაბათი, 4 მარტი, 1958 წ. | ფასი 20 კაპ.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმს მიაჩნია, რომ საკოლმეურნეო წყობილების შემდგომი განვითარებისა და მანქანა-ტრაქტორთა სადგურების რეორგანიზაციისათვის დასახული ღონისძიებებს სასიცოცხლოდ დიდი მნიშვნელობა აქვს სოციალისტური სოფლის მეურნეობისა და მთელი ჩვენი ქვეყნისათვის. სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციის შემდეგ, რაც განხორციელდა გენიალური ლენინური კოოპერაციული გეგმის საფუძველზე, ამ ღონისძიებათა განხორციელება იქნება ახალი, განსაკუთრებით დიდმნიშვნელოვანი და დიდი ნაბიჯი სოციალისტური სოფლის მეურნეობის განვითარებაში.

(სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმის დადგენილებიდან „საკოლმეურნეო წყობილების შემდგომი განვითარებისა და მანქანა-ტრაქტორთა სადგურების რეორგანიზაციის შესახებ").

სამშობლოს საკეთილდღეოდ, მთელი ხალხის ინტერესებისათვის!

საბჭოთა ადამიანები მხურვალედ იწონებენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის თებერვლის პლენუმის დოკუმენტებს

★ ★ ★

საყოველთაო-სახალხო განხილვა

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმის დადგენილება „საკოლმეურნეო წყობილების შემდგომი განვითარებისა და მანქანა-ტრაქტორთა სადგურების რეორგანიზაციის შესახებ" და თეზისები ამხ. ნ. ს. ხრუშჩოვის მოხსენებისა ამ საკითხის შესახებ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მორიგ სესიაზე ამჟამად მთელი საბჭოთა ხალხის ყურადღების ცენტრშია. ამ დოკუმენტებში დამუშავებულ საკითხებს სასიცოცხლოდ დიდი მნიშვნელობა აქვთ სოციალისტური სოფლის მეურნეობისა და მთელი ჩვენი ქვეყნისათვის, კომუნისტური მშენებლობის იმ გეგმის შესრულებისათვის, რომელიც საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ისტორიულმა XX ყრილობამ დასახა. სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციის შემდეგ, რომელიც განხორციელდა გენიალური ლენინური კოოპერაციული გეგმის საფუძველზე, იმ ღონისძიებათა განხორციელება, რომლებიც საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა შეიმუშავა, ახალი, განსაკუთრებით მნიშვნელოვანი და დიდი ნაბიჯი იქნება სოციალისტური სოფლის მეურნეობის განვითარებაში.

ჩვენს ქვეყანაში დაიწყო საკოლმეურნეო წყობილების შემდგომი განვითარებისა და მანქანა-ტრაქტორთა სადგურების რეორგანიზაციის შესახებ იმ წინადადებათა საყოველთაო-სახალხო განხილვა, რომლებიც პარტიამ წამოაყენა. „პრავდის" რედაქციაში სხვადასხვა რაიონიდან მოდის მრავალი ცნობა, რომ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმის დოკუმენტებს ცხოველი ინტერესით სწავლობენ ქალაქისა და სოფლის მშრომელები და ეს დოკუმენტები ყველგან პოულობს ერთსულოვან მხარდაჭერასა და მხურვალე მოწონებას.

— უკანასკნელ წლებში ჩვენი ქვეყნის სოფლის მეურნეობამ, — ამბობს ალტაის მხარის რებრიხის რაიონის სასოფლო-სამეურნეო არტელ „ლენინის ხსოვნის" კოლმეურნე ტ. ი. ზოტოვი, — შესანიშნავი წარმატებები მოიპოვა. ეს კარგად ჩანს ჩვენი მხარის მაგალითით. ალტაის მშრომელებმა ოთხ წელიწადში აითვისეს მილიონობით ჰექტარი ყამირი მიწა და ათჯერ გაადიდეს სახელმწიფოსათვის პურის ჩაბარება. კოლმეურნეობანი ეკონომიურად განმტკიცდნენ. მათი შემოსავალი 1953 წელთან შედარებით თითქმის ხუთჯერ გადიდდა. მტს-ების რეორგანიზაცია და სასოფლო-სამეურნეო არტელებისათვის ტექნიკის მიყიდვა შესაძლებლობას მოგვცემს მივაღწიოთ საკოლმეურნეო ეკონომიკის შემდგომ აღმავლობას.

ლენინგრადის კიროვის სახელობის ქარხნის კადრის მუშები ამხანაგები ა. ალექსეევი, ე. ვიხარიოვი, ნ. მარასანოვი, გ. მიხაილოვი და ნ. რიჟიკოვი დღეს „პრავდაში" გამოქვეყნებულ სტატიაში წერენ:

„ამ ცოტა ხნის წინათ პარტიამ განახორციელა მრეწველობისა და მშენებლობის მართვის ძირეული გარდაქმნა. კიროვის ქარხნის მუშები, ინჟინრები, ტექნიკოსები, მოსამსახურეები თვალნათლივ ხედავენ, თუ რა დიდ დადებით შედეგებს იძლევა ეს გარდაქმნა. ახლა, როცა ვკითხულობთ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმის დადგენილებას და ამ. ნ. ს. ხრუშჩოვის მოხსენების თეზისებს, ჩვენ კვლავ და კვლავ ვრწმუნდებით, თუ როგორ მუდამ ეთათბირება მილიონობით მშრომელს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი და ისე უდგება სახალხო მეურნეობის ხელმძღვანელობის შემდგომი გაუმჯობესების საქმეს".

უკრაინის კოლმეურნეობის თავმჯდომარეს ორგზის სოციალისტური შრომის გმირს ამხ. პ. ფ. ვედუტას მიაჩნია, რომ კოლმეურნეობა, რომელსაც იგი ხელმძღვანელობს, მტს-ების რეორგანიზაციის მეოხებით უფრო სწრაფი ტემპებით განვითარდება.

— ჩვენს კოლმეურნეობას, — ამბობს იგი, — დაახლოებით ათი მილიონი მანეთი წლიური შემოსავალი აქვს და შეუძლია იმდენი ტექნიკა იყიდოს, რამდენიც საჭიროა მთელი მიწის დასამუშავებლად. აგრეთვე ფერმებში შრომატევად სამუშაოთა შესასრულებლად. კოლმეურნეობაში გაიზარდნენ მექანიზატორთა საკუთარი კვალიფიციური კადრები.

ალმა-ატის ოლქის კალინინის სახელობის კოლმეურნეობაში საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმის გადაწყვეტილებაზე გაცხოველებული საუბრის დროს ამ კოლმეურნეობის თავმჯდომარემ ოცდაათათასელმა აგრონომმა ამხ. ისაბაი რისბეკოვმა თქვა:

— დიდია ჩვენი მადლობა ალმა-ატის მტს-ისადმი. სადგურმა დახმარება გაუწია კოლმეურნეობას გამხდარიყო მსხვილი მრავალდარგოვანი მეურნეობა, გამოზარდა სოფლის მექანიზატორთა რამდენიმე თაობა, ჩაუნერგა ახალგაზრდობას ტექნიკისადმი სიყვარული. ჩვენს სასოფლო-სამეურნეო არტელს უკვე ჰყავს უმაღლესი და საშუალო განათლების მქონე ჩვიდმეტი სპეციალისტი. მაგრამ ახლა მტს-მა ბევრ რამეში ამოწურა თავისი როგორც სასოფლო-სამეურნეო წარმოების ორგანიზატორის როლი. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის თებერვლის პლენუმის გადაწყვეტილება ჩვენს წინაშე ახალ პერსპექტივებს სახავს. ჩვენ ვაპირებთ შევიძინოთ 12 ტრაქტორი მისაბმელი და საკიდი იარაღებით, ვიყიდით, რა თქმა უნდა, მარტო იმას, რაც საჭიროა. უკვე დღეს ვზრუნავთ იმისათვის, უფრო გონივრულად როგორ გამოვიყენოთ მანქანები და როგორ მოვუაროთ მათ უკეთ. გაზაფხულის პირველ დღეებშივე მათთვის ავაგებთ ფარდულს. ტექნიკის ყოველდღიური მოვლისათვის კოლმეურნეობა მოამზადებს ახალგაზრდა ზეინკლებს, ხარატებს, მჭედლებს. მტს-ების რეორგანიზაცია კოლმეურნეობებს უფრო მიაახლოებს ჩვენს ქარხნებთან და ფაბრიკებთან.

მილიონობით საბჭოთა ადამიანს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმის დოკუმენტები, შემუშავებული ღონისძიებანი მიაჩნია საკოლმეურნეო წყობილების შემდგომი განვითარებისათვის პარტიის ზრუნვის ახალ გამოვლინებად და ამ ისტორიულ დოკუმენტებს შრომითი და პოლიტიკური აქტივობის ახალი აღმავლობით უპასუხებს. პარტიული ორგანიზაციები მოწოდებული არიან სათავეში ჩაუდგნენ მასების ამ მზარდ შემოქმედებითს ინიციატივასა და აქტივობას, დარაზმონ შრომელები იმ ამოცანების პრაქტიკულად განხორციელებისათვის, რომლებიც სოფლის მეურნეობის წინაშე დგას.

მოიწონა რა „საკოლმეურნეო წყობილების შემდგომი განვითარებისა და მანქანა-ტრაქტორთა სადგურების რეორგანიზაციის შესახებ" ამხ. ნ. ს. ხრუშჩოვის მოხსენების თეზისები, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა მიზანშეწონილად მიიჩნია გამოქვეყნდეს ისინი საყოველთაო-სახალხო განხილვისათვის.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა დაავალა მოკავშირე რესპუბლიკების კომპარტიების ცენტრალურ კომიტეტებს, პარტიის სამხარეო, საოლქო, საქალაქო და რაიონულ კომიტეტებსა და პირველადს პარტიულ ორგანიზაციებს ფართოდ განმარტონ დასახული ღონისძიებათა მნიშვნელობა და ყველგან მოაწყონ თეზისების საყოველთაო-სახალხო განხილვა. პარტიულმა და საბჭოთა ორგანოებმა გულდასმით უნდა შეისწავლონ და განაზოგადონ მშრომელთა ყველა კონკრეტული წინადადება, რათა გამონახონ კოლმეურნეობათა მატერიალურ-ტექნიკური მომსახურების გარდაქმნის ყველაზე სრულყოფილი და მიზანშეწონილი ორგანიზაციული ფორმები საკოლმეურნეო წყობილების შემდგომი განვითარების, ჩვენს ქვეყანაში სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების სიუხვის შექმნის ინტერესებისათვის.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმის მოწოდებით ადგილობრივი პარტიული ორგანიზაციები ფართოდ აჩაღებენ მუშაობას პლენუმის დოკუმენტების შესწავლისა და განხილვის ორგანიზაციისათვის. უახლოეს დღეებში ყველგან გაიმართება საერთო კრებები კოლმეურნეობებში, მტს-ებსა და საბჭოთა მეურნეობებში, სამრეწველო საწარმოებში და მშენებლობებზე, სამეცნიერო ორგანიზაციებსა და სასწავლებლებში, ჯარის ნაწილებსა და დაწესებულებებში. ამ მუშაობის განხორციელებაში აქტიური მონაწილეობა უნდა მიიღონ პროფკავშირულმა და კომკავშირულმა ორგანიზაციებმა.

ჩვენი გაზეთები და ჟურნალები მოწოდებული არიან საყოველთაო-სახალხო განხილვის ნამდვილ ტრიბუნად გახდნენ. მათი ფურცლები ახლა უნდა დაეთმოს კოლმეურნეთა, მტს-ების, საბჭოთა მეურნეობების, სამრეწველო საწარმოების მუშაკთა, მეცნიერებისა და ტექნიკის მოღვაწეთა, პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციების ხელმძღვანელთა გამოსვლებს. საჭიროა პრესაში ფართოდ შუქდებოდეს თეზისების საყოველთაო-სახალხო განხილვისადმი მიძღვნილი კრებების მიმდინარეობა.

„პრავდის" რედაქციაში შემოდის სტატიები, წერილები, წინადადებები და შენიშვნები თეზისებში დაყენებულ საკითხებზე. დღეიდან „პრავდაში" შემოღებულია სპეციალური განყოფილება „საკოლმეურნეო წყობილების შემდგომი განვითარებისა და მანქანა-ტრაქტორთა სადგურების რეორგანიზაციის საკითხის საყოველთაო-სახალხო განხილვა". ამ განყოფილებაში ყოველდღე დაიბეჭდება მასალები ხეზისებში წამოყენებულ ყველა საკითხზე. „პრავდის" რედაქცია სთხოვს ყველა მსურველს გამოგზავნონ თავიანთი სტატიები, წინადადებები და შენიშვნები.

ჩვენს ქვეყანაში კომუნისტური მშენებლობის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი საკითხის საყოველთაო-სახალხო განხილვა საბჭოთა საზოგადოების ნამდვილი დემოკრატიზმის შესანიშნავი გამოხატულებაა. მხოლოდ სოციალიზმის პირობებში, სადაც ხალხი მთელი სიმდიდრის სრულუფლებიანი ბატონ-პატრონია, მშრომელებს არა სიტყვით, არამედ საქმით შეუძლიათ აქტიური მონაწილეობა მიიღონ სამეურნეო და სახელმწიფოებრივი მშენებლობის ყველაზე არსებითი საკითხების განხილვასა და გადაწყვეტაში. საბჭოთა ხელისუფლებამ, როგორც მშრომელთა ნამდვილმა ხელისუფლებამ, ისტორიაში პირველად შექმნა მილიონობით მუშისა და გლეხისათვის განუსაზღვრელი შესაძლებლობა გამოიჩინონ თავიანთი ნიჭი და უნარი საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სარბილზე. ჩვენი დიდი ბელადი და მასწავლებელი ვ. ი. ლენინი, ახასიათებდა რა საბჭოთა ხელისუფლების დემოკრატიზმს, წერდა: „ეს არის ყველასათვის აშკარა ხელისუფლება, რომელიც ყველაფერს აკეთებს მასის თვალწინ, მასისათვის მისაწვდომია, უშუალოდ მასიდან არის გამოსული, ხალხის მასისა და მისი ნების პირდაპირი და უშუალო ორგანოა".

სამეურნეო და სახელმწიფოებრივი მშენებლობის უმნიშვნელოვანეს საკითხთა საყოველთაო-სახალხო განხილვა საბჭოთა საზოგადოების ცხოვრების უმნიშვნელოვანესი პრინციპია. ერთი წლის წინათ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მოწოდებით მოეწყო მრეწველობისა და მშენებლობის მართვის გარდაქმნის საკითხის საყოველთაო-სახალხო განხილვა, რომელშიც მონაწილეობა მიიღო ორმოც მილიონზე მეტმა კაცმა. შეიძლება არ დავეჭვდეთ, რომ საკოლმეურნეო წყობილების შემდგომი განვითარების საკითხის განხილვა გამოიწვევს მთელი საბჭოთა ხალხის შემოქმედებითი აქტივობის ახალ გაძლიერებას.

როგორც თეზისებშია აღნიშნული, უკანასკნელ ხანს მთელი საბჭოთა ხალხის აქტიური მხარდაჭერით ჩვენმა პარტიამ განახორციელა მთელი რიგი დიდმნიშვნელოვანი ღონისძიებანი, რომელთა მიზანია სახალხო მეურნეობის შემდგომი განვითარება, ჩვენი ქვეყნის ძლიერების განმტკიცება და ხალხის კეთილდღეობის განუხრელი გაუმჯობესება, კაპიტალიზმთან მშვიდობიან ეკონომიურ შეჯიბრებაში სოციალიზმის გამარჯვება. მანქანა-ტრაქტორთა სადგურების დასახულ რეორგანიზაციას და კოლმეურნეობებისათვის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის მიყიდვას ისეთივე მნიშვნელობა აქვს, როგორიც მრეწველობისა და მშენებლობის მართვის გარდაქმნას, რაც უკანასკნელ ხანს განხორციელდა, აგრეთვე სხვა დიდმნიშვნელოვან ღონისძიებებს, და ისინი უშუალოდ გამომდინარეობენ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობის მითითებებიდან — შეუსუსტებელი ენერგიით განვაგრძოთ მუშაობა სოფლის მეურნეობის აღმავლობისათვის. იბრძვის რა ყრილობის ამ მითითებათა შესრულებისათვის, საბჭოთა ხალხმა დიდი წარმატებები მოიპოვა სოფლის მეურნეობის განვითარებაში და ამჟამად გააჩაღა ფართო მოძრაობა იმისათვის, რომ უახლოეს წლებში დავეწიოთ ამერიკის შეერთებულ შტატებს ერთ სულ მოსახლეზე ხორცის, რძისა და კარაქის წარმოების მხრივ.

საყოველთაო-სახალხო განხილვა დაიწყო. ამ განხილვის მიმდინარეობაში პარტიულმა, საბჭოთა, პროფკავშირულმა და კომკავშირულმა ორგანიზაციებმა, როგორც საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმი აღნიშნავს, ყველა მშრომელის შემოქმედებითი ენერგია და აქტივობა უნდა წარმართონ სახელმწიფო გეგმების მთლიანად და გადაჭარბებით შესრულებისათვის, კოლმეურნეთა, მტს-ებისა და საბჭოთა მეურნეობების მუშაკთა ღონისძიებანი უნდა დარაზმონ თვითეულ კოლმეურნეობასა და საბჭოთა მეურნეობაში საგაზაფხულო თესვის წარმატებით შესრულებისათვის, სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების წარმოების გადიდების ვალდებულებათა შესრულებისათვის. საჭიროა ფართოდ განვუმარტოთ მშრომელებს, რომ სოფლის მეურნეობის ახალი აღმავლობა, რასაც კომუნისტური პარტია აწყობს, იქნება ჩვენი ქვეყნის კიდევ ერთი დიდმნიშვნელოვანი გამარჯვება კაპიტალიზმთან სოციალიზმის მშვიდობიან ეკონომიურ შეჯიბრებაში, კომუნისტური მშენებლობის ამოცანების გადაწყვეტაში.

„პრავდის" 3-III მოწინავე.

სურათზე: გურჯაანის რაიონის სოფელ ვაზისუბნის კოლმეურნეობის თავმჯდომარის მოადგილე ს. დაღუნდარიძე კოლმეურნეებს აცნობს პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმის დადგენილებას. ფოტო მ. თელიაშვილისა.

იწონებენ, კარგია...

გაზაფხულის თბილი, მშრალი ამინდია. საკოლმეურნეო მინდვრებსა და ზვრებში მუშაობაა გაჩაღებული. მიმდინარეობს ბაღ-ვენახების დამუშავება, თავთავიანი მარცვლეული კულტურების შერჩევით თესვა, წესრიგში მოჰყავთ საკვალსათბურო მეურნეობა, ატარებენ სამემოდგომო პურის ჯეჯილების გამოკვებას, მზრუნველობას არ აკლებენ პირუტყვს.

ასეა სოფელ ხიდისთავის კოლმეურნეობაშიც. ვენახის თავში კოლმეურნეებმა კოლმეურნეობის თავმჯდომარეს ფირან ანასტასოვს გაზეთი დაუნახეს ხელში. ერთმა კოლმეურნემ მეორეს გადაულაპარაკა:

— თავმჯდომარე მოდის, თან გაზეთი მოაქვს!

— ალბათ ახალია რამე. მუდამ ასე იცის ხოლმე!

...კოლმეურნეებმა შეისვენეს. თავმჯდომარეს შემოუსხდნენ გარშემო.

— მიმდინარე წლის 25-26 თებერვალს, — დაიწყო საუბარი ანასტასოვმა, — გაიმართა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმი, რომელმაც მიიღო დადგენილება „საკოლმეურნეო წყობილების შემდგომი განვითარებისა და მანქანა-ტრაქტორთა სადგურების რეორგანიზაციის შესახებ", გამოქვეყნდა ამხ. ნ. ს. ხრუშჩოვის მოხსენების თეზისებიც. ახლა სწორედ ამ მნიშვნელოვანი დოკუმენტების შესახებ მინდა მოგვესაუბროთ. თებერვლის პლენუმის ეს დადგენილება წარმოადგენს სოფლის მეურნეობის აღმავლობისათვის მშობლიური კომუნისტური პარტიის სისტემატური ზრუნვის ახალ, ნათელ დადასტურებას. პარტიამ დროულად დააყენა მანქანა-ტრაქტორთა სადგურების რეორგანიზაციის საკითხი. ერთ მიწაზე ჩვენი და მანქანა-ტრაქტორთა სადგურების შრომა იწვევს გაუპიროვნებას, ამცირებს პასუხისმგებლობას. ამის დასამტკიცებლად შორს წასვლა არ გვინდა. ალბათ გახსოვთ, ამას წინათ საანგარიშო-საარჩევნო კრებაზე გორის მანქანა-ტრაქტორთა სადგურის ანგარიშს რომ ვისმენდით, ჩვენ მათ ვუსაყვედურეთ: — იბრძვით გეგმების შესრულებისათვის რბილ ხვნაზე გადაყვანით და არ ზრუნავთ თქვენ მიერ დათესილ ფართობებზე მოსავლიანობის გადიდებისათვისო. წლების მანძილზე კოლმეურნეობაში მარცვლეული კულტურების დაბალ მოსავალს ვიღებთ.

ხმები: — მართალია! მართალია!

ანასტასოვი: — რატომ არ უნდა ვიღებდეთ მარცვლეული კულტურების კარგ მოსავალს, თუ კი ყოველწლიურად მოგვყავს ყურძნის მაღალი მოსავალი? ალბათ იმიტომ, რომ ვენახს ძირითადად ჩვენი ძალით ვუვლით და ამიტომაც მოსავლიანობის გადიდებისათვის მეტ პასუხისმგებლობას ვგრძნობთ.

კოლმეურნეობის თავმჯდომარის ფ. ანასტასოვის საუბრის შემდეგ სიტყვას იღებს კოლმეურნე იოსებ სამადალაშვილი. ის ამბობს:

— მიწის პატრონები ჩვენ ვართ, ტრაქტორებიც ჩვენ უნდა გვქონდეს. ტექნიკა ჩვენს ხელში მთელი დატვირთვით იქნება გამოყენებული. პარტიის ამ დადგენილების პასუხად ვალდებულებას ვიღებ გაორკეცებული ენერგიით ვიმუშაო.

თებერვლის პლენუმის დადგენილება მოიწონეს და ახალი ვალდებულებები იკისრეს აგრეთვე მერგოლოურმა ოლია ნონიკაშვილმა, ივანე ტლაშაძემ და სხვებმა.

გვიანობამდე ხალისიანად შრომობდნენ ვენახებში ხიდისთაველი კოლმეურნეები. ამ დღეს თითქმის ყველამ გადამეტებით შეასრულა დღიური დავალება.

მ. ხეთაგური,
„კომუნისტის" საკ. კორესპონდენტი.
გორის რაიონი.

★

საკავშირო ალკა ცენტრალურ კომიტეტში

საკავშირო ალკა ცენტრალურმა კომიტეტმა მიიღო დადგენილება კომკავშირული ორგანიზაციების მონაწილეობის თაობაზე „საკოლმეურნეო წყობილების შემდგომი განვითარებისა და მანქანა-ტრაქტორთა სადგურების რეორგანიზაციის შესახებ" ამხ. ნ. ს. ხრუშჩოვის მოხსენების თეზისების განხილვაში.

საკავშირო ალკა ცენტრალურმა კომიტეტმა მოუწოდა კომკავშირის წევრებს, მთელ კომკავშირულ აქტივს აქტიური მონაწილეობა მიიღონ საკოლმეურნეო წყობილების შემდგომი განვითარებისა და მანქანა-ტრაქტორთა სადგურების რეორგანიზაციის შესახებ წინადადებათა განხილვასა და შემუშავებაში.

კომკავშირის რაიკომები, ქალაქკომები, საოლქო კომიტეტები, სამხარეო კომიტეტები, მოკავშირე რესპუბლიკების ალკა ცენტრალური კომიტეტები და კომკავშირული ორგანიზაციები ვალდებული არიან ფართოდ გააცნონ კომკავშირელებსა და ახალგაზრდობას თეზისები მოხსენებისა საკოლმეურნეო წყობილების შემდგომი განვითარებისა და მანქანა-ტრაქტორთა სადგურების რეორგანიზაციის შესახებ, მოაწყონ მოხსენების თეზისების წაკითხვა და განხილვა, ინდივიდუალური საუბრები ბრიგადებში, განყოფილებებში, ფერმებში, უბნებში, საერთო საცხოვრებლებში, ცოცხალი კავშირი დაამყარონ ამ მუშაობაში თვითეულ ქალიშვილთან და ჭაბუკთან. საკავშირო ალკა ცენტრალურმა კომიტეტმა ურჩია კომკავშირულ ორგანიზაციებს ამხ. ნ. ს. ხრუშჩოვის მოხსენების თეზისები გააცნონ ახალგაზრდობას და განხილვა მოაწყონ კომკავშირულ პოლიტწრეებსა და პოლიტსკოლებში.

საკავშირო ალკა ცენტრალურმა კომიტეტმა ურჩია კომკავშირულ ორგანიზაციებს ამხ. ნ. ს. ხრუშჩოვის მოხსენების თეზისების კომკავშირელებისა და ახალგაზრდობისათვის გაცნობის შემდეგ მოაწყონ ღია კომკავშირული კრებები ამ საკითხზე. წინადადებანი, რომლებსაც გამოთქვამენ კომკავშირელები და ახალგაზრდობა, საუბრობა განზოგადდეს და გადაეცეთ კომკავშირულ კომიტეტებს, აგრეთვე პარტიულ ორგანიზაციებს.

საკავშირო ალკა ცენტრალურმა კომიტეტმა დაავალა ყველა კომკავშირულ მუშაკს და აქტივისტს პირადი მონაწილეობა მიიღონ კომკავშირელებისა და ახალგაზრდობისათვის ამხ. ნ. ს. ხრუშჩოვის მოხსენების თეზისების ახსნა-განმარტებაში, ამ საკითხზე კომკავშირული კრებების მომზადებასა და ჩატარებაში.

ხალხის კანდიდატები

ი. ორჯონიკიძე

წარჩინებული მეშახტე

* * *

თავის სიცოცხლეში არ დაავიწყდება ივანე ორჯონიკიძეს უზარმაზარი მიწისქვეშა ქარხნის — შახტის გაცნობა და იქ გადადგმული პირველი გაუბედავი ნაბიჯები. სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატმა, ტყიბულის შახტების ვეტერანმა შ. ფურცხვანიძემ, რომელსაც ყოველთვის ანდობდნენ ახალმოსული მეშახტის აღზრდას, ერთ დღეს ის სანგრევში, ქვანახშირის მდინარის სათავესთან მიიყვანა. აღმზრდელი და აღსაზრდელი დევგმირულად შეერკინენ ქვანახშირის ფენებს. აგუგუნდა ელექტრობურღი. უკანასკნელი შპურიც გაჭრილია... აფეთქების გამაყრუებელი ხმა... ქვანახშირის საუკუნეობრივი ქანები ზათქითა და გრიალით დაზვავდნენ ლავის მთელ სიგრძეზე.

ვისაც შახტში არ უმუშავია, ის ვერც კი წარმოიდგენს, თუ როგორი სიხარული მოიცავს მეშახტეს, როცა ხედავს თავისი შრომის ნაყოფს, ნათურის შუქზე მოლაპლაპე ქვანახშირს, „შავ ოქროს" — მდინარესავით რომ მიედინება სამთო გამონამუშევრებში.

ასეთი იყო ახალგაზრდა მეშახტის პირველი ნაბიჯი, დამოუკიდებელი ცხოვრების გზაზე გადადგმული, ტყიბულის ქვანახშირის საბადოს იმ შახტში, რომელიც ი. ბ. სტალინის სახელს ატარებს.

მას შემდეგ ათ წელზე მეტი გავიდა. ამ ხნის განმავლობაში ორჯონიკიძემ განვლო ზრდის, დაოსტატების, დავაუკაცების ნათელი გზა. იგი ნოვატორი მნგრეველი გახდა.

შვიდი წელია, რაც წარჩინებული მეშახტე კომპლექსურ ბრიგადას ხელმძღვანელობს. ამ ხნის მანძილზე არ ყოფილა შემთხვევა, რომ მის ბრიგადას ქვანახშირის მონგრევის დავალება არ შეესრულებინოს. 121 პროცენტი — ასეთია ი. ორჯონიკიძის მუშაობის მაჩვენებელი გასულ წელს. იგი ნაყოფიერად განაგრძობს მუშაობას მიმდინარე წელსაც.

მეშახტის ბ. მამაის პატრიოტულ თაოსნობას, ჩაება მასთან სოციალისტურ შეჯიბრებაში და იკისრა მისი ბრიგადის თვითეულმა წევრმა ცვლაში ნორმის ზევით ამოიღოს სულ მცირე 2 ტონა ქვანახშირი.

ი. ორჯონიკიძეს არა მარტო თავდადებული მშრომელი, ნოვატორი ადამიანია, არამედ იგი სწავლას მოწყურებული ახალგაზრდაც არის. მან 1956 წელს წარმატებით დაამთავრა მუშა ახალგაზრდობის საშუალო სკოლა და ამჟამად დაუსწრებლად სწავლობს საქართველოს კიროვის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტის სამთო ფაკულტეტზე.

წარმოებაში ნოვატორმა და სწავლაში წარჩინებულმა ახალგაზრდამ ტყიბულელ მეშახტეთა სიყვარული დაიმსახურა. მისი სახელი დიდი ხანია გასცდა სანგრევს, შახტს, რაიონს. იგი იყო პარტიის XX ყრილობის დელეგატი.

* * *

ადამიანის ცხოვრებაში არის სიხარულის ისეთი განსაკუთრებული წუთები, რომელთა დავიწყება შეუძლებელია. ი. ორჯონიკიძისათვის ასეთი წუთები იყო იმ დღეს, როცა მშობლიურ სტალინის სახელობის შახტში წინასაარჩევნო კრება გაიმართა. კრებაზე წინადადება შეიტანეს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს ეროვნებათა საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად ამბროლაურის № 136 საარჩევნო ოლქში დაასახელონ ივანე სავლეს-ძე ორჯონიკიძე. ამ წინადადებას ამომრჩევლები ხანგრძლივი მქუხარე ტაშით შეხვდნენ. ისინი ღრმად არიან დარწმუნებულნი, რომ ღირსეული საბჭოთა პატრიოტი ნდობას გაამართლებს.

ვ. ცირეკიძე,
„კომუნისტის" საკ. კორესპონდენტი.

საქართველოს მშრომელები განიხილავენ საკოლმეურნეო წყობილების შემდგომი განვითარებისა და მანქანა-ტრაქტორთა სადგურების რეორგანიზაციის საკითხებს

ლაგოდეხის საყრდენ-საჩვენებელი მტს-ის მექანიზატორთა და ზონის კოლმეურნეობათა აქტივის გაერთიანებულ კრებაზე

დიდი შრომითი და პოლიტიკური აღმავლობაა ლაგოდეხის რაიონის საკოლმეურნეო სოფლებში. კოლმეურნეებსა და მექანიზატორებს ამჟამად ერთი საზრუნავი აქვთ: მაქსიმალურად გამოიყენონ ადრეული გაზაფხულის ყოველი ხელსაყრელი დღე, მტკიცე საფუძველი ჩაუყარონ მიმდინარე წლის უხვ მოსავალს, მკვეთრად აამაღლონ მეცხოველეობის პროდუქტიულობა.

მშრომელთა აქტივობა გააძლიერა ამ დღეებში გამოქვეყნებულმა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმის დადგენილებამ და თეზისებმა ამხ. ნ. ს. ხრუშჩოვის მოხსენებისა „საკოლმეურნეო წყობილების შემდგომი განვითარებისა და მანქანა-ტრაქტორთა სადგურების რეორგანიზაციის შესახებ". სოფლის მშრომელები ამ დოკუმენტებში ხედავენ სოციალისტური სოფლის მეურნეობისათვის მშობლიური კომუნისტური პარტიის დაუცხრომელი ზრუნვის ახალ ნათელ დადასტურებას. მინდვრებში, ბაღ-ვენახებსა და მეცხოველეობის ფერმებში შეგხვდებათ ადამიანთა ჯგუფები, რომლებიც დიდი ყურადღებით ეცნობიან დადგენილებასა და თეზისებს, საქმიანად მსჯელობენ, აკეთებენ თავიანთ შენიშვნებსა და წინადადებებს.

ნამდვილად დაუვიწყარი, საქმიანი შეკრება მოეწყო გუშინ ლაგოდეხის საყრდენ-საჩვენებელი მტს-ის კლუბში. აქ თავი მოიყარეს მტს-ის მექანიზატორებმა და ზონის კოლმეურნეობათა წარმომადგენლებმა, რათა ერთობლივად განეხილათ პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმის დადგენილება და ამხ. ნ. ს. ხრუშჩოვის მოხსენების თეზისები, გამოეთქვათ თავიანთი აზრები.

კრებამ, რომელზეც მრავალი ამხანაგი გამოვიდა, ნათლად გამოავლინა, რომ ახლანდელ პირობებში, როცა კოლმეურნეობათა უმეტესობა ორგანიზაციულ-მეურნეობრივად განმტკიცდა და ეკონომიურად მნიშვნელოვნად გაძლიერდა, მტს-ების რეორგანიზაციის საკითხი მომწიფებულია.

ქვემოთ ვაქვეყნებთ ამ კრებაზე ზოგიერთი ამხანაგის გამოსვლის მოკლე შინაარსს.

ლაგოდეხის საყრდენ-საჩვენებელი მტს-ის მექანიზატორებისა და ზონის კოლმეურნეობათა აქტივის კრება, მიძღვნილი პარტიის ცენტრალური კომიტეტის თებერვლის პლენუმის დადგენილებისა და ამხ. ნ. ს. ხრუშჩოვის მოხსენების თეზისების განხილვისადმი. ტრიბუნაზეა მტს-ის მთავარი აგრონომი ამხ. ა. შავლაყაძე.

ფოტო ვ. გინზბურგისა.

სასარგებლოა, ხელსაყრელია

ლაგოდეხის საყრდენ-საჩვენებელი მტს-ის მთავარი აგრონომის ა. შავლაყაძის გამოსვლიდან

ლაგოდეხის რაიონში სამი მტს-ია 135-ზე მეტი ვარგისი ტრაქტორით. საშუალოდ თვითეულ კოლმეურნეობას მომსახურებას უწევს 4-5 ტრაქტორი, ზოგიერთ შემთხვევაში კი სატრაქტორო ბრიგადა 8-10 ტრაქტორით ემსახურება ერთ კოლმეურნეობას ან კოლმეურნეობათა ჯგუფს. მაგალითად, ლაგოდეხის საყრდენ-საჩვენებელი მტს-ის ერთი სატრაქტორო ბრიგადა სხვადასხვა მარკის 11 ტრაქტორით ემსახურება რაიონში ერთ-ერთ ყველაზე მსხვილ სასოფლო-სამეურნეო არტელს — სოფელ შრომის კოლმეურნეობა „ლენინის ანდერძს". ამ კოლმეურნეობაში მომუშავე სამანქანო-სატრაქტორო პარკის ღირებულება 451.894 მანეთს შეადგენს. შარშან აღნიშნული მანქანა-იარაღების რემონტსა და ტექმოვლაზე დავხარჯეთ 40 ათასი მანეთი, ხოლო დახარჯული საწვავის ღირებულება 55 ათას მანეთს შეადგენდა. მტს-ის მიერ შესრულებული სამუშაოებისათვის კოლმეურნეობამ ნატურით და ფულად გადაიხადა 164.712 მანეთი. არტელს რომ ეს სამუშაოები საკუთარი ტექნიკით შეესრულებინა და მიღებული პროდუქტები სახელმწიფოსათვის მიეყიდნა არსებული ფასებით, მიიღებდა 306.337 მანეთ შემოსავალს და ამავე დროს არ გადაიხდიდა ფულზე შესრულებულ სამუშაოებში 61.955 მანეთს. სულ ამ გზით კოლმეურნეობის შემოსავალი მიაღწევდა 368.292 მანეთს. ტრაქტორების, მანქანა-იარაღების რემონტზე, ტექმოვლაზე და შესრულებულ სამუშაოებზე კი არსებული ფასებით დახარჯავდა მხოლოდ 95.249 მანეთს, ე. ი. კოლმეურნეობას დარჩებოდა 273.042 მანეთი ეკონომია.

ეს მხოლოდ ერთი მაგალითია. მაგრამ ასეთივე მაგალითების მოყვანა შეიძლება სოფელ ულიანოვკის, ცოდწის, კალინოვკის და სხვა კოლმეურნეობების ცხოვრებიდან.

მიზანშეწონილად მიგვაჩნია რაიონში ამჟამად არსებული სამი მტს-ის რეორგანიზაციის შემდეგ დარჩეს ორი სარემონტო-ტექნიკური სადგური და საწვავ-საცხები მასალების შესანახავად კოლმეურნეობებს მიეყიდოთ მტს-ებში არსებული ნავთობპროდუქტების ჭურჭელი.

ჩემი აზრით, მტს-ების რეორგანიზაცია დღის წესრიგში აყენებს რაიონში სოფლის მეურნეობის სამმართველოს შექმნას, რომელიც დაკომპლექტებული იქნება ყველა დარგის სპეციალისტებით. სამმართველო დაგეგმავს კოლმეურნეობებში მანქანების რემონტსა და ტექმოვლას სარემონტოშორისო ნორმების მიხედვით და საჭირო საწვავ-საცხები მასალების რაოდენობას კვარტალების მიხედვით შესასრულებელ სამუშაოებზე.

მივცემთ სამშობლოს მეტ პროდუქტებს

სოფელ ცოდნისკარის ძერჟინსკის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარის ა. ცინცაძის გამოსვლიდან



მტს-ების რეორგანიზაცია გამოიწვევს ქვეყნის საწარმოო ძალების ახალ აღმავლობას, რაც საშუალებას მოგვცემს შევქმნათ სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების სიუხვე.

ჩვენი კოლმეურნეობა მრავალდარგოვანი მძლავრი საზოგადოებრივი მეურნეობაა. ეკონომიური შესაძლებლობა საშუალებას გვაძლევს უკვე წელს ვიყიდოთ ტრაქტორები და სასოფლო-სამეურნეო მანქანები, გამოვიყენოთ ისინი ნამდვილად მეურნეობრივად, გადავიდეთ მუშაობის ახალ პირობებზე. ამასთან სრული უფლება გვეძლევა ჩვენი შეხედულებისამებრ ავირჩიოთ ეკონომიურად ხელსაყრელი იარაღ-მანქანები, ხოლო ზოგიერთ შემთხვევაში დავუკვეთოთ კიდეც ისინი ქარხნებს. ჩვენ გვესაჭიროება მანქანების მცირე რაოდენობით შევასრულოთ რაც შეიძლება მეტი სახეობის სამუშაოები, დავხარჯოთ კოლმეურნეთა ნაკლები შრომა. პარტია გვპირდება, რომ სახელმწიფო ამიერიდან გამოუშვებს მანქანებს ნიადაგისა და ჰავის სხვადასხვა ზონების გათვალისწინებით, ტრაქტორებს საჭირო რაოდენობით ექნებათ საკიდი იარაღები, რომლებსაც თვითონ ტრაქტორისტი მართავს.

მტს-ების რეორგანიზაცია მოსპობს გაუპიროვნებას სამუშაოთა შესრულებაში, მინიმუმამდე შეამცირებს მანქანების მოცდენას. პირადად მე რამდენი შემთხვევა შემიძლია გავიხსენო, როცა მექანიზატორთა მიერ შესრულებული სამუშაო ჩვენ — კოლმეურნეობის წარმომადგენლებს არ მოგვწონდა, მტს-ების ხელმძღვანელებს კი, პირიქით, მოსწონდათ. წარმოების საშუალებებზე ერთი პატრონის არსებობა აღმოფხვრის ასეთ მდგომარეობას.

კოლმეურნეთა მადლობა პარტიას სოფლის მეურნეობასა და მის მშრომელებზე დაუცხრომელი ზრუნვისათვის.

გაუმჯობესდება მექანიზატორთა შრომისა და ცხოვრების პირობები

მტს-ის სატრაქტორო ბრიგადის ბრიგადირის შ. რიჟამაძის გამოსვლიდან

ჩვენი რაიონის პირობებში მანქანა-ტრაქტორთა სადგურების რეორგანიზაცია სასარგებლო საქმე რომ იქნება, ამაში, მე მგონი, არც ერთ ჩვენგანს ეპვი არ ეპარება. მე მხოლოდ მინდა აქ ხაზი გავუსვა იმ გარემოებას, რომ რეორგანიზაციის შედეგად მნიშვნელოვნად გაუმჯობესდება ჩვენი, მექანიზატორების შრომისა და ცხოვრების პირობები.

ჯერ-ერთი, საშუალება გვექნება უკეთ მოვუაროთ მანქანებს. ახლა ტრაქტორი და მისაბმელი იარაღები ხშირად თვიდან თვემდე ღია ცის ქვეშ, მინდორში გვაქვს მიტოვებული. ხოლო, როცა ისინი კოლმეურნეობის საკუთრება გახდება, ასე არ მოხდება. მაშინ მარტო მექანიზატორები კი არა, ყოველი კოლმეურნე იზრუნებს მანქანებზე. გაგვიადვილდება მათი მოვლა, გაიზრდება ვადები რემონტებს შორის.

რა დასამალია, ამჟამად მექანიზატორებს ძნელ პირობებში გვიხდება მუშაობა. ხშირად კვირაობით ვართ მინდორში, იქვე ვათევთ ღამეს, იქვე ვსადილობთ და ვვახშმობთ. ცხადია, რეორგანიზაციის შემდეგ ამდენი სიძნელე არ შეგვხვდება: შინ ვიქნებით, ჩვენს ოჯახში დავიძინებთ, ცხელ სადილ-ვახშამს ვჭამთ.

მთავარი ის არის, რომ მეტი ხალისი და ინტერესი გვექნება მუშაობაში. ჩვენც, მექანიზატორებიც, ხომ კოლმეურნეობის წევრები ვიქნებით და სხვებთან ერთად უფრო მეტად დავინტერესდებით მოსავლიანობის გადიდებით.

ასე რომ, ჩვენთვის, მექანიზატორებისათვის, მანქანა-ტრაქტორთა სადგურების რეორგანიზაცია მეტად სასიხარულო და სასარგებლო მოვლენა იქნება.

გაუმჯობესდება მექანიზატორთა შრომისა და ცხოვრების პირობები

მტს-ის სატრაქტორო ბრიგადის ბრიგადირის ფ. რიჟამაძის გამოსვლიდან

ჩვენი რაიონის პირობებში მანქანა-ტრაქტორთა სადგურების რეორგანიზაცია სასარგებლო საქმე რომ იქნება, ამაში, მე მგონი, არც ერთ ჩვენგანს ეპვი არ ეპარება. მე მხოლოდ მინდა აქ ხაზი გავუსვა იმ გარემოებას, რომ რეორგანიზაციის შედეგად მნიშვნელოვნად გაუმჯობესდება ჩვენი, მექანიზატორების შრომისა და ცხოვრების პირობები.

ჯერ-ერთი, საშუალება გვექნება უკეთ მოვუაროთ მანქანებს. ახლა ტრაქტორი და მისაბმელი იარაღები ხშირად თვიდან თვემდე ღია ცის ქვეშ, მინდორში გვაქვს მიტოვებული. ხოლო, როცა ისინი კოლმეურნეობის საკუთრება გახდება, ასე არ მოხდება. მაშინ მარტო მექანიზატორები კი არა, ყოველი კოლმეურნე იზრუნებს მანქანებზე. გაგვიადვილდება მათი მოვლა, გაიზრდება ვადები რემონტებს შორის.

რა დასამალია, ამჟამად მექანიზატორებს ძნელ პირობებში გვიხდება მუშაობა. ხშირად კვირაობით ვართ მინდორში, იქვე ვათევთ ღამეს, იქვე ვსადილობთ და ვვახშმობთ. ცხადია, რეორგანიზაციის შემდეგ ამდენი სიძნელე არ შეგვხვდება: შინ ვიქნებით, ჩვენს ოჯახში დავიძინებთ, ცხელ სადილ-ვახშამს ვჭამთ.

მთავარი ის არის, რომ მეტი ხალისი და ინტერესი გვექნება მუშაობაში. ჩვენც, მექანიზატორებიც, ხომ კოლმეურნეობის წევრები ვიქნებით და სხვებთან ერთად უფრო მეტად დავინტერესდებით მოსავლიანობის გადიდებით.

ასე რომ, ჩვენთვის, მექანიზატორებისათვის, მანქანა-ტრაქტორთა სადგურების რეორგანიზაცია მეტად სასიხარულო და სასარგებლო მოვლენა იქნება.

მთავარია შეძენილი ტექნიკის მოვლა და გამოყენება

მანქანა-ტრაქტორთა სადგურის სახელოსნოს გამგის რ. ხმფიაშვილის გამოსვლიდან

ახლა, როცა პარტიამ მანქანა-ტრაქტორთა სადგურების რეორგანიზაციის საკითხი დააყენა და როცა დავრწმუნდით, რომ ჩვენი რაიონის პირობებში მომწიფებული მდგომარეობა რეორგანიზაციის განსახორციელებლად, საჭიროა იმ პრაქტიკულ ღონისძიებებზეც ვიფიქროთ, რომლებიც ამასთან დაკავშირებით უნდა გავატაროთ.

მე მინდა გაგიზიაროთ ჩემი მოსაზრებანი იმის შესახებ, თუ როგორ უნდა მოეწყოს იარაღ-მანქანების მოვლა-პატრონობა და რემონტი მტს-ების რეორგანიზაციის შემდეგ. ჩემი აზრით, სარემონტო სადგურთან ერთად კოლმეურნეობებში, რომლებიც მანქანებს შეიძენენ, უნდა მოეწყოს სახელოსნო მიმდინარე შეკეთებისათვის. ასეთ სახელოსნოებში უნდა იყოს იარაღები და მოწყობილობანი სამჭედლო-საზეინკლო, სახარატო და შესადუღებელ სამუშაოთა შესასრულებლად. ამიტომ კოლმეურნეობამ, რომელიც მანქანების ყიდვას გადაწყვეტს, უწინარეს ყოვლისა ასეთი სახელოსნოს მოწყობაზე უნდა იფიქროს. ადგილზევე უნდა მოეწყოს სათადარიგო ნაწილების საწყობი.

ამჟამად ჩვენი მანქანა-ტრაქტორთა სადგურის ზონის კოლმეურნეობათა დიდ ნაწილს აქვს სახსრები სასოფლო-სამეურნეო იარაღ-მანქანების შესაძენად. მაგრამ აქ მეორე უფრო მნიშვნელოვანი საკითხია: შეძლებს თუ არა ყველა კოლმეურნეობა ამ ტექნიკის მოვლასა და გამოყენებას.

მიწას ერთი პატრონი ეყოლება

ლაგოდეხის მტს-ის სატრაქტორო ბრიგადის ბრიგადირის ვ. მანაგაძის გამოსვლიდან

ამხ. ნ. ს. ხრუშჩოვის მოხსენების თეზისების გაცნობისას მრავალი ისეთი საკითხი შემხვდა, რომლებიც მართლაც მეტად გვაწუხებდა მექანიზატორებს და, რომლებზეც არ აერთხელ მიფიქრია. გამოგიტყდებით, ბევრი რამ მეც აღარ მომწონდა ჩვენი მუშაობის პრაქტიკაში. ამ თეზისებს რომ კითხულობ, ასე მგონია, ჩემს გულში ჩაუხედავთ-მეთქი. აი თუნდაც ერთი საკითხი. აქ, თეზისებში ხომ გარკვევით წერია, ერთ და იმავე მიწას ორი პატრონი ჰყავსო — ცალკე მანქანა-ტრაქტორთა სადგური და ცალკე კოლმეურნეობა. აბა დაუკვირდით, თუ ასე არ არის! რამდენჯერ მოგვსვლია უთანხმოება მექანიზატორებს კოლმეურნეებთან და კოლმეურნეობათა თავმჯდომარეებთან. ფირუზ რიჟამაძემ თქვას, თუ ასე არ არის.

ჩემს მაგალითს გეტყვით: ჩვენი სატრაქტორო ბრიგადა, როგორც მოგეხსენებათ, ცოდნისკარის ძერჟინსკის სახელობის კოლმეურნეობას ემსახურება. ამ შემოდგომაზე მივადექით ერთ-ერთ ნაკვეთს — კოდისწყაროს რომ ეძახიან. მზრალად უნდა მოვხნიდა: ხელშეკრულებაში გვიწერია, გეგმაში გვიზის. მომავარდა კოლმეურნეობის თავმჯდომარე აკაკი ცინცაძე, ჩემს უკითხავად თქვენ აქ ვინ შემოგიშვათ, ეს ფართობები ამ ზამთარს ცხვრის საძოვებლად მჭირდებაო. ვეუბნები, ვუმტკიცებ, გეგმაშია გვაქვს, მზრალად ხვნის გეგმა ჩაგვეშლება-მეთქი. მე თქვენი გეგმა არ ვიცი, ამ ნაკვეთის მოხვნა ზამთრის დამლევამდე არ მეჩქარებაო. მე ჩემი ვუთხარი, იმან თავისი მითხრა, ატყდა დავა და ჩხუბი. ჩემი მხრივ მე მართალი ვიყავი: რატომ უნდა ჩამეფუშა გეგმა. არც ის კაცი იყო მტყუანი: საზამთრო საძოვრად სჭირდებოდა ცხვრისათვის, მოხვნა კი არც გაზაფხულზე იქნებოდა ურიგო.

ახლა თუ კოლმეურნეობა იარაღ-მანქანებს შეიძენს და არც ჩვენი ბრიგადის მექანიზატორებს ეტყვის უარს კოლმეურნეობაში მიღებაზე, რომ კვლავ ამ მანქანებს ვემსახუროთ, სადავო და საჩხუბარიც არაფერი გვექნება. კოლმეურნეობას საკუთარი ტექნიკა ექნება. როცა გინდა და როგორც გინდა, ისე მოხანი და დათესე! მიწას ერთი პატრონი ეყოლება — კოლმეურნეობა, რომელსაც სამუდამო მფლობელობაში აქვს გადაცემული მიწა.

ფაქტების ენით

მანქანა-ტრაქტორთა სადგურის ბუხჰალტრის ე. კოგბერიძის გამოსვლიდან

მე როგორც ბუხჰალტერი, მხოლოდ ციფრებით ვილაპარაკებ. გასულ წელს ჩვენმა მტს-მა მუშაობისამსახურეთა ხელფასზე, საწვავ-საცხებ მასალებზე, იარაღ-მანქანების რემონტზე და სხვა საჭიროებისათვის 1.700.000 მანეთი დახარჯა, ხოლო ნატურალური და ფულადი ანაზღაურების სახით ქვეყანას მისცა 992.800 მანეთი შემოსავალი. ამრიგად, სახელმწიფოსაგან 736.200 მანეთი დოტაცია მივიღეთ. ასეთია ვითარება ჩვენს მტს-ში, რომელიც რესპუბლიკაში მოწინავედ ითვლება. ცხადია, სხვა შედარებით ჩამორჩენილი მტს-ების შენახვა სახელმწიფოს უფრო ძვირი უჯდება.

რეორგანიზაციის შედეგად ეს ზედმეტი ხარჯები შემცირდება, მოისპობა ორმაგობა და პარალელიზმი ხელმძღვანელობაში, საჭირო აღარ იქნება ზედმეტი სამმართველო აპარატის შენახვა, კოლმეურნეობებს საკუთარ მფლობელობაში ექნებათ თანამედროვე ტექნიკა, რაც საშუალებას მისცემს მათ უფრო ნაყოფიერად გამოიყენონ სამუდამო მფლობელობაში მიცემული მიწა. საბოლოო ანგარიშში ყოველივე ეს გაადიდებს შრომის ნაყოფიერებას, შეამცირებს სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების თვითღირებულებას.

კომუნისტთა ღვიძლი საქმე

მტს-ის პარტბიუროს მდივნის ი. ტყემალაძის გამოსვლიდან

ჩვენი პარტიული ორგანიზაცია მუდამ იყო ყოველივე ახლისა და პროგრესულის დანერგვისათვის მებრძოლი. ახლაც, როცა პარტიის ნებით და ხალხის ერთსულოვანი მხარდაჭერით ხორციელდება მტს-ების რეორგანიზაცია, პარტიულ ორგანიზაციას განზრახული აქვს ფართოდ განუმარტოს მშრომელებს მანქანა-ტრაქტორთა სადგურების მუშაობის განზრახული გარდაქმნის აზრი და მნიშვნელობა, მოაწყოს პარტიის ცენტრალური კომიტეტის წინადადებათა განხილვა, სათავეში ჩაუდგეს მშრომელთა საწარმოო და პოლიტიკურ აქტივობას, რომლის მიზანია 1958 წელს სოფლის მეურნეობის დარგში ახალ წარმატებათა მოპოვება.

ამ ამოცანას დავუქვემდებარებთ მთელ ჩვენს მასობრივ-პოლიტიკურ და ორგანიზატორულ მუშაობას. უკვე შევადგინეთ ღონისძიებათა გეგმა, რომლის მიხედვით აგიტატორები თავიანთ სააგიტაციო უბნებში სისტემატურად გამართავენ საუბრებს საკოლმეურნეო წყობილების შემდგომი განვითარებისა და მტს-ების რეორგანიზაციის საკითხებზე, მოვაწყობთ ლექციებისა და მოხსენებების წაკითხვას, გამოვუშვებთ კედლის გაზეთის სპეციალურ ნომერს.

მტს-ის კომუნისტები დიდი კმაყოფილებით შეხვდნენ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმის დადგენილებას და „საკოლმეურნეო წყობილების შემდგომი განვითარებისა და მანქანა-ტრაქტორთა სადგურების რეორგანიზაციის შესახებ" ამხ. ნ. ხრუშჩოვის მოხსენების თეზისებს, რადგან ისინი ამ დოკუმენტებში ხედავენ სოციალისტური სოფლის მეურნეობისათვის, კოლმეურნეებისა და მექანიზატორებისათვის დაუცხრომელი ზრუნვის ახალ მკაფიო დადასტურებას.

ჩემი წინადადება

სოფელ ყარსუბნის „პრავდის" სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარის შ. ხუციშვილის გამოსვლიდან

ხალხის კეთილდღეობისათვის მუდმივი ზრუნვა ჩვენი პარტიის მოდგაწეობის უმაღლესი კანონია. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმის დადგენილება და თეზისები ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვის მოხსენებისა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს სესიაზე „საკოლმეურნეო წყობილების შემდგომი განვითარებისა და მანქანა-ტრაქტორთა სადგურების რეორგანიზაციის შესახებ" ამ ზრუნვის კიდევ ერთი მკაფიო დადასტურებაა.

ჩვენ ჯერ კიდევ არ ვიცით, თუ რა ფასებში შევიყიდით ამა თუ იმ მანქანას, სათადარიგო ნაწილებს, საწვავ-საცხებსა და სხვ., მაგრამ კერძოდ ჩვენი კოლმეურნეობა რომ ამით მხოლოდ აარგებლობას ნახავს, შემიძლია კონკრეტული მაგალითებით დავამტკიცო. აი ერთი მათგანი. შარშან მარტო სასილოსე მასის აღებისათვის მანქანა-ტრაქტორთა სადგურს 10 ტონა ხორცი გადავუხადეთ. ხორცის ამ რაოდენობით ჩვენ შეგვეძლო შეგვეძინა არა მარტო სასილოსე მასის აღებები კომბაინი, არამედ სხვა მანქანებიც.

ჩვენს სოფელს მექანიზატორთა კერას ეძახიან. და ეს მართალიც არის. ვარდისუბნის მანქანა-ტრაქტორთა სადგური თითქმის მთლიანად ჩვენი სოფელი მექანიზატორებით არის დაკომპლექტებული. უეჭველია, რომ მათი ჩვენთან გადმოსვლა გააძლიერებს კოლმეურნეობის ტექნიკურ კადრებს, უფრო მაღალ საფეხურზე აიყვანს საკოლმეურნეო წარმოების ტექნიკურ ხელმძღვანელობას.

მანქანა-ტრაქტორთა სადგურების რეორგანიზაცია ფართო გაჯანს მისცემს ყველა კოლმეურნის ინიციატივას საკოლმეურნეო წარმოების რეზერვების უკეთ გამოყენების საქმეში, განსაკუთრებით კი ჩვენი კოლმეურნეობის პირობებში, სადაც ათივე საწარმოო ბრიგადა სამეურნეო ანგარიშზე გვყავს გადაყვანილი.

გაფართოვდება ურთიერთობა მუშებსა და კოლმეურნეებს შორის

მტს-ის სატრაქტორო ბრიგადის ბრიგადირის ნ. ტრუბავინის გამოსვლიდან

მანქანა-ტრაქტორთა სადგურების რეორგანიზაცია და სასოფლო-სამეურნეო იარაღ-მანქანების უშუალოდ კოლმეურნეობებისათვის მიყიდვა იმითაც იქნება კარგი, რომ ამით უფრო ახლო, უშუალო ურთიერთობა დამყარდება კოლმეურნეებსა და მრეწველობის მუშაკებს შორის. ამჟამად მანქანა რომ არ მოეწონებათ, კოლმეურნეები ჩვენ, მექანიზატორებს შემოგვჩივიან ხოლმე. კოლმეურნეობათა ახალ საწარმოო-ტექნიკური მომსახურების პირობებში კი მათ შესაძლებლობა ექნებათ განახორციელონ საკუთარი დაკვეთები ახალ, უფრო სრულყოფილ ტექნიკაზე, რომელიც დამზადებული იქნება ზონისა და ადგილობრივი პირობების სპეციფიკის გათვალისწინებით.

დაკვეთის მიმღები საწარმოებისა და კოლმეურნეთა ასეთი უშუალო კავშირი განამტკიცებს მათს ურთიერთშემოქმედებითს თანამშრომლობას, ხელს შეუწყობს ახალი მძლავრი სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის შექმნას.

სანიმუშოდ მოვემსახურეთ დამსვენებლებს

ამ დღეებში გაიმართა საქართველოს კურორტების მუშაკთა რესპუბლიკური თათბირი, რომლის მუშაობაში მონაწილეობა მიიღეს რესპუბლიკის პარტიული, საბჭოთა და პროფკავშირული ორგანიზაციების წარმომადგენლებმა.

თათბირმა განიხილა რესპუბლიკის კურორტების მუშაობის გაუმჯობესების ღონისძიებათა საკითხი. ამ საკითხზე მოხსენებები გააკეთეს საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის მინისტრმა დ. მამამთავრიშვილმა და საქართველოს სსრ ვაჭრობის მინისტრმა მ. ღვინჯილიამ.

მომხსენებელმა ამხ. მამამთავრიშვილმა აღნიშნა, რომ უკანასკნელ წლებში განხორციელებულმა ღონისძიებებმა ხელი შეუწყო კურორტების მუშაობის გაუმჯობესებას. ყოველწლიურად სულ უფრო მეტი დამსვენებელი იკეთებს ჯანმრთელობას რესპუბლიკის კურორტებზე. თუ 1951 წელს საქართველოს კურორტებზე დასვენდა და იმკურნალა 123 ათასმა კაცმა, 1957 წელს ამ რიცხვმა 233 ათასს მიაღწია.

კურორტების მუშაობაში სეზონიანობა ნაკლოვანებებიც არის. კურორტთა მთავარი სამმართველოს კადრების სამმართველო არ ახორციელებს ქმედით ღონისძიებებს საკურორტო დაწესებულებების მაღალკვალიფიციური სპეციალისტებით დასაკომპლექტებლად. მაგალითად, კურორტ აბასთუმანში ექიმის 14 ადგილია გაკანტური.

ადგილზე შემოწმებამ ცხადყო, რომ ზოგიერთი სანატორიუმი და დასასვენებელი სახლი სათანადო მომსახურებას ვერ უწევდა დამსვენებლებს. უფრო მეტიც, გაგრის სანატორიუმ „ოქეანურაში“, გუდაუთის სანატორიუმ „ვოლგაში“ და წყალტუბოს მეშახტეთა სანატორიუმში იყო შემთხვევები, რომ ზოგიერთი მუშაკი უხეშად ეპყრობოდა დამსვენებლებს. სრულიად არადამაკმაყოფილებელი იყო დამსვენებელთა კულტურულ-მასობრივი მომსახურება, კვება აჭარის ჯგუფის კურორტების დასასვენებელ სახლებში „ნიავში“, „პრიბოიში“, „მახინჯაურში“.

თათბირზე გაკრიტიკებულ იქნენ კურორტოლოგიის ინსტიტუტი და მისი ფილიალები, რომლებიც ჯერ კიდევ ვერ უწევენ საჭირო დახმარებას კურორტებს, სუსტად არიან დაკავშირებული საკურორტო დაწესებულებებთან, სათანადოდ არ იბრძვიან მკურნალობის ახალი მეთოდების პრაქტიკაში დანერგვისათვის.

გაუმჯობესებას საჭიროებს დამსვენებელთა კულტურული მომსახურება. არანორმალურად უნდა ჩაითვალოს, რომ წყალტუბოს სანატორიუმებში „რიონსა“ და „რკინიგზელში“ თვეში 27 კინოფილმს უჩვენებენ, სხვა კულტურულ-მასობრივ ღონისძიებათა განხორციელებისათვის კი თავს არ იწუხებენ.

კურორტებზე არსებულ ნაკლოვანებათა ერთ-ერთი მიზეზია კურორტთა ტერიტორიული სამმართველოების, საკურორტო სამმართველოების, სანატორიუმების, დასასვენებელი სახლების, პანსიონატების პარტიული, პროფკავშირული, კომკავშირული ორგანიზაციების არადამაკმაყოფილებელი მუშაობა.

საქართველოს სსრ ვაჭრობის მინისტრმა ამხ. ღვინჯილიამ თავის მოხსენებაში ყურადღება გაამახვილა იმ ნაკლოვანებებზე, რომლებიც ჯერ კიდევ არის კურორტების სხვადასხვა საქონლით მომარაგების საქმეში.

მიუხედავად იმისა, რომ კურორტებზე სასურსათო და სამრეწველო საქონლის რეალიზაცია ყოველწლიურად იზრდება, 1957 წელს არადამაკმაყოფილებელი იყო ზოგიერთი საქონლით მომარაგება. კურორტები შეფერხებებით იღებდნენ ხორცს, ძეხვეულს, რძესა და რძის პროდუქტებს, კვერცხს, ბოსტნეულს.

სეზონიანი ნაკლოვანებებით ხასიათდებოდა არაორგანიზებულ დამსვენებელთა სავაჭრო მომსახურება.

უკონტროლობის შედეგად როგორც სავაჭრო, ისე საზოგადოებრივი კვების ქსელში ხშირად სათანადო სიმაღლეზე ვერ დგას ვაჭრობის კულტურა, ორის ვაჭრობის წესების უხეში დარღვევის შემთხვევები. გამოირკვა, რომ ყველაზე მეტი დარღვევები იყო „საქკურორტვაჭრობის“ წყალტუბოსა და ბორჯომის განყოფილებების სავაჭრო ქსელში.

აბასთუმნის საკურორტო სამმართველოს დირექტორმა ა. მხეიძემ თათბირზე აღნიშნა, რომ კურორტი სუსტად მარაგდება მედიკამენტებით, კვების პროდუქტებით, სათანადო სიმაღლეზე ვერ დგას კინომომსახურება, არსებული სარბენაო ფონდი ვერ აკმაყოფილებს აბასთუმნელთა მოთხოვნებს.

პარტიის გაგრის რაიკომის მდივანმა ა. კინწურაშვილმა ყურადღება გაამახვილა იმ ნაკლოვანებებზე, რომლებიც გაგრის კეთილმოწყობის საქმეშია. სამშენებლო ორგანიზაციების მოუქნელი მუშაობის შედეგად ჭიანურდება კანალიზაციის მშენებლობა, რაც 1949 წელს დაიწყეს. მართალია, დამთავრდა გაგრის სამრეცხაოს მშენებლობა, მაგრამ იმის გამო, რომ აღჭურვილი არ არის სათანადო მოწყობილობით, იგი უმოქმედოდ დგას. გაგრა ყოველწლიურად სულ უფრო მეტ დამსვენებელს იზიდავს, მაგრამ არსებული სისტემრო ოდნავაც ვერ აკმაყოფილებს დამსვენებელთა მოთხოვნილებას.

ნაკლებად თვითკრიტიკული იყო საქართველოს სსრ მშენებლობის მინისტრის ს. ლორთქიფანიძისა და საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილის ა. ჩიქოვანის გამოსვლები.

თათბირის მონაწილენი ვერ დააკმაყოფილა „საქკურორტვაჭრობის“ დირექტორის ნ. მაისურაძის გამოსვლამ.

კამათში მონაწილეობა მიიღეს წყალტუბოს საკურორტო სამმართველოს დირექტორმა შ. ჭალაგანიძემ, აფხაზეთის ტერიტორიული საკურორტო სამმართველოს დირექტორმა კ. ხაბურზანიამ, პარტიის აჭარის საოლქო კომიტეტის მდივანმა კ. შავიშვილმა და სხვ.

თათბირზე სიტყვა წარმოთქვა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ამხ. ფ. დუმბაძემ.

— ნაკლოვანებანი, რომლებზეც აქ ლაპარაკი იყო, — თქვა მან, — იმის შედეგია, რომ ჯანმრთელობის დაცვის კერებში — სანატორიუმებში, დასასვენებელ სახლებში დაბალ დონეზეა პარტიული მუშაობა. საჭიროა ავამაღლოთ პირველადი პარტიული, კომკავშირული და პროფკავშირული ორგანიზაციების პასუხისმგებლობა ჯანმრთელობის დაცვის კერების მუშაობის მდგომარეობისათვის. პარტიულმა კომიტეტებმა და, უწინარეს ყოვლისა, პირველადმა პარტორგანიზაციებმა უნდა გააძლიერონ კონტროლი საკურორტო დაწესებულებების საქმიანობისადმი, სერიოზულად და დაკვირვებით იმუშაონ მათს საკითხებზე, სისტემატურად აწარმოონ პოლიტიკურ-აღმზრდელობითი მუშაობა მომსახურე პერსონალში.

— ეჭვს გარეშეა, — თქვა დასასრულ ამხ. ფ. დუმბაძემ, — რომ შესაბამისი სამინისტროებისა და უწყებების ხელმძღვანელები, კურორტების მუშაკთა კოლექტივები პარტიული და საბჭოთა ორგანოების, პროფკავშირული ორგანიზაციების აქტიური დახმარებით ყველაფერს გააკეთებენ იმისათვის, რომ აღმოფხვრან ჩვენი რესპუბლიკის ჯანმრთელობის დაცვის კერების მუშაობაში არსებული ნაკლოვანებანი და უზრუნველყონ შესრულება საქართველოს კომპარტიის XVIII ყრილობის გადაწყვეტილებებისა მშრომელთა ჯანმრთელობის დაცვის საქმის გაუმჯობესების შესახებ.

წინასაარჩევნო სოციალისტურ შეჯიბრებაში მნიშვნელოვან წარმატებებს აღწევს ტყიბულის სტალინის სახელობის შახტის პირველი საექსპლოატაციო უბნის მნგრეველთა ბრიგადა, რომელსაც ნოვატორი მეშახტე ა. ბაკურაძე ხელმძღვანელობს.

სურათზე (მარცხნიდან): სტალინის სახელობის შახტის უფროსი გ. ვოლობუევი ესაუბრება მოწინავე მეშახტეებს ო. ცეცხლაძესა და ა. ბაკურაძეს ცვლის დამთავრების შემდეგ.

ფოტო გ. კიკვიძისა.
(საქდესის ფოტოქრონიკა).

მგზნებარედ გაისმის აგიტატორთა მომწოდებელი ხმა

რედაქციაში შემოსული წერილების მიმოხილვა

★

დაიწყო სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნებისათვის მზადების ახალი ეტაპი. გაჩაღდა აგიტაცია დეპუტატობის კანდიდატების სასარგებლოდ. აგიტატორები ამომრჩევლებს მოუთხრობენ დეპუტატობის კანდიდატების შრომითს და საზოგადოებრივ საქმიანობაზე.

ამ დღეებში ამომრჩეველთა შორის ნაყოფიერ მუშაობას ეწევიან ჩვენი აგიტატორები და პროპაგანდისტები, დაუცხრომლად გაისმის მათი მგზნებარე, მომწოდებელი ხმა. ისინი მშრომელებს ესაუბრებიან საბჭოთა საარჩევნო სისტემის უდიდეს უპირატესობაზე ბურჟუაზიულ საარჩევნო სისტემასთან შედარებით, მოუთხრობენ იმ გრანდიოზულ ცვლილებებზე, რომლებიც მოხდა წინა არჩევნებიდან დღემდე განვლილ პერიოდში ჩვენი ქვეყნის ეკონომიურ, პოლიტიკურ და კულტურულ ცხოვრებაში.

რედაქციას ყოველდღე მოსდის მრავალი წერილი, კორესპონდენცია, ინფორმაცია, რომლებშიც მოთხრობილია დიდ პატრიოტულ აღმავლობაზე რესპუბლიკის საწარმოებსა და კოლმეურნეობებში.

— თბილისის ლენინის რაიონში, — გვწერს აგიტატორი **ს. ცაგარეიშვილი,** — ასობით აგიტატორი მუშობს ამომრჩეველთა შორის. ისინი სისტემატურად აწყობენ საუბრებს საბჭოთა საარჩევნო სისტემის, საბჭოთა კონსტიტუციის შესახებ, რაზმავენ მშრომელებს ახალი მიღწევების მოპოვებისათვის საბრძოლველად.

ორჯონიკიძის რაიონში 25-ე საარჩევნო უბნის აგიტპუნქტი სააგიტაციო-მასობრივი მუშაობის ნამდვილი ცენტრია. აგიტპუნქტში 60-ზე მეტი აგიტატორია. ყველა მათგანს უმაღლესი განათლება და სააგიტაციო-მასობრივი მუშაობის საკმაო გამოცდილება აქვს. აქ სისტემატურად ეწყობა აგიტატორთა სემინარები. როგორც აგიტპუნქტის გამგე დოცენტი **ა. ნარჩომაშვილი** გვწერს, ნაყოფიერი მუშაობით გამოირჩევიან აგიტატორები ც. ჯავახიშვილი, ნ. სურგულაძე, ი. ფერაძე, მ. ოშორიძე, ი. საათაშვილი, ჯ. ჯანაშვილი, თ. გიორგობიანი, ჭ. აბვლედიანი, ო. დგებუაძე, ჯ. შონია და სხვ. ისინი სისტემატურად ეაუბრებიან ამომრჩეველს მათთვის საინტერესო საკითხებზე, აწყობენ ექსკურსიებს, კოლექტიურ სვლას კინოთეატრებში.

ფართოდ არის გაშლილი აგიტაცია სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატების სასარგებლოდ თეთრი წყაროს რაიონში. ამას ატყობინებს რედაქციას პარტიის რაიკომის ლექტორი-კონსულტანტი **ზ. ჯორჯიაშვილი.** უმაღლესი საბჭოს არჩევნებთან დაკავშირებით რაიონში შექმნილია 33 აგიტპუნქტი, რომლებიც 600-მდე აგიტატორს აერთიანებს. განსაკუთრებული ყურადღება ექცევა ახალგაზრდა ამომრჩევლებთან მუშაობას.

ხევსურეთის მაღალმთიან სოფლებში დიდი გამოცოცხლებაა. აგიტატორები შ. ალიაძე, გ. არაბული, რ. ბანცური, დ. ჭინჭარაშვილი და სხვები გულმოდგინედ განუმარტავენ ხევსურ მშრომელებს საბჭოთა კონსტიტუციის დიად პრინციპებს, აცნობენ ამომრჩევლებს, თუ როგორ ხორციელდება პარტიის XX ყრილობის ისტორიული გადაწყვეტილებანი. ამას ატყობინებს რედაქციას აგიტატორი **ი. ნაყეური.**

— პარტიის ქობულეთის რაიკომის პოლიტიკური განათლების კაბინეტში, — აღნიშნავს რედაქციისათვის გამოგზავნილ წერილში რაიკომის ინსტრუქტორი **ე. მექვაბიშვილი,** — აგიტატორებისათვის სისტემატურად ეწყობა ლექციები, კონსულტაციები, საუბრები. ამას წინათ მოეწყო აგიტატორთა ზონალური თათბირები. რაიონის ხელმძღვანელი მუშაკები აგიტატორებს ესაუბრნენ უმაღლესი საბჭოს არჩევნებისათვის მზადების პერიოდში საგიტაციო-მასობრივი მუშაობის საკითხებზე.

ქუთაისის კიროვის სახელობის სამკერვალო ფაბრიკის კოლექტივი ეჯიბრება ლენინაკანელ, კიროვაბადელ, თბილისელ და ბათუმელ თანამოსაქმეებს და წარმატებით იბრძვის ნაკისრ ვალდებულებათა შესრულებისათვის. წარმატებათა მოპოვებაში, — გვწერს მუშკორი **ი. ბუხაიძე,** — მნიშვნელოვანია ფაბრიკის აგიტატორების თ. ჩოგოვაძის, მ. კახიძის, ც. ზარნაძის, ნ. ტყეშელაშვილის და სხვების წვლილი.

არჩევნებისათვის მზადების პერიოდში რესპუბლიკის ქალაქებსა და სოფლებში დიდი შრომითი აღმავლობაა. ამ მძლავრ შრომითს აღმავლობაზე, იმაზე, თუ როგორ გაიშალა მოსახლეობაში აგიტაცია დეპუტატობის კანდიდატთა სასარგებლოდ, რედაქციას სწერენ მუშკორები და სოფლკორები: ფოთიდან — **ნ. კუზნეცოვი,** აბაშიდან — **ი. თოფურია,** თბილისიდან — **ი. მჭედლიშვილი** და **გ. ანდღულაძე,** მცხეთის რაიონიდან — **გ. უეინიშვილი,** ახალციხიდან — **ტ. კურტანიძე,** ოჩამჩირიდან — **ვ. დოხნაძე, ე. ქობალია** და **ზ. მესენგისერი.**





კადრები კინოფილმიდან

რასულ გამზაგოვის ეპოეზია ქართულად

ხუთიოდე წლის წინათ რასულ გამზატოვთან ერთად შემოვიარე დაღისტანი — ძველყანა მთებისა, არწივებისა და ვაჟკაცებისა, როგორც მას უწოდებენ ხოლმე. გავეცანი მის შესანიშნავ ადამიანებს — ვაჟკაცებს, რომელთა გმირული შრომა ამაღლებს რესპუბლიკას, ქალებსა და ქალიშვილებს, რომლებიც შუქნათელს ჰფენენ იმ დიდებულ მთებსა და ხეობებს. რესპუბლიკის დედაქალაქ მახაჩყალაში ვიყავ თუ შამილის უკანასკნელ ციხე-სიმაგრე გუნიბში, ხოჯალმაქის ვაშლის ბაღებში დავდიოდი თუ სახელგანთქმულ ჭოხელ მეცხვარეებს ვესაუბრებოდი, ყოისუს მღელვარე ტალღებს დავყურებდი თუ გერგებილის ხეობის მშვენებით ვტკბებოდი, — ყველგან ვგრძნობდი დაღისტნელი ამხანაგების გულწრფელ და უსაზღვრო სტუმართმოყვარეობას.

ახლახან, როცა ქართულ ენაზე წავიკითხე დაღისტნელი მეგობრის პოეტურ ნაწარმოებთა წიგნი, კვლავ ძალუმად განვიცადე დაუვიწყარი სილამაზე მთების ძვეყნის ზვიადი ბუნებისა, ისევ გამომესაუბრნენ მისი სახელოვანი შვილები, გამიღიმეს ჩემმა კეთილმა და მარად საიმედო ყუნაღებმა.

სულითა და გულით შეიძლება მივულოცოთ ქართველ მკითხველს: მის მდიდარ თაროს კიდევ ერთი ჩინებული წიგნი შეემატა, ჭირშიც და ლხინშიც სამეგობრო და უბით სატარებელი!

ამ წიგნის პირველი განყოფილება, რომელიც მთლიანად საქართველოსადმია მიძღვნილი, აშკარად მეტყველებს მისი ავტორის გულითად გრძნობაზე ჩვენი ქვეყნისადმი. აი კახეთის სასურველი სტუმარი მისდევს ალაზნისპირს:

და როგორც გავცდი ფიქრში
გართული
ქედს, ამ მშვენების უცხო მნახველი,
მაღალ სათიბში ცელაღმართული
ლეკს ზედ პირისპირ შემხვდა კახელი.
შეეხვდით ნამდვილი სახლიკაცები
ტკბილ მეგობრობის გამოცხადებად:
დღეს ჩვენ ერთმანეთს ვებრძვით
ყანწებით
ჩვენი გულლია ძმობის თავდებად.
(თარგმანი ირაკლი აბაშიძისა).

ამის წამკითხველს მყისვე მოაგონდება ძველი და მწარე ისტორია ჩვენს მხარეში ლეკთა თარეშისა. მოაგონდება და არ შეიძლება თბილი ღიმილი არ მოჰგვაროს პოეტის მიმართვამ პატარა ქართველი გოგონასადმი:

მთები ჩამომრჩნენ... გზა ჭალახ
ეკვრის,
ზოგან მზე ცხარობს, ზოგან ჩრდილია...
ჰა, შემოვიჭერ შენს სახლში ლეკი,
რისთვის არ ტირი, არ გეშინია?
როგორ შემოგრჩა ღიმი სახეზე!
რად არ გამირბი დამფრთხალი, ნეტავ?
ნუთუ საშინელ ჩემს თავდასხმებზე
არ გიმღეროდა ძილის წინ დედა?
(თარგმანი გიორგი კაჭახიძისა).

საქართველომ შთააგონა რასულ გამზატოვს მისი ლირიკის ნამდვილი შედევრები: „ალაზანი“, „ლეკი“, „ქართველ ქალიშვილებს“, „ნანა ღვინეფაძეს“, „სამი ცისფერი ყვავილი“. ეს ლექსები ხალხთა მეგობრობის წმიდათა-წმიდა გრძნობით არის განათებული და ძალმიცემული.

მომდევნო განყოფილებათა სათაურებია: „ბედნიერება“, „მე შენზე ვფიქრობ“, „დაღისტნური სიმღერები“, „საუბარი მამასთან“. აღტაცებული ვფურცლავ წიგნს და მიძნელდება რომელ ერთზე დავიჭირო არჩევანი, რომელი ერთი დავასახელო სანიმუშოდ. მახარებს ძალა და სურნელება ამ თავისებური, კეთილ ხალხურ ფესვებზე დაფუძნებული ვაჟკაცური პოეზიისა. ვიცი, რომ გემოვნება ხშირად ჭირვეული და მოღალატე რამ არის, მაგრამ ერთი კი ცხადია: ამ წიგნს გულგრილად ვერავინ გადადებს განზე, რადგან იგი სისხლითა და გულით არის შექმნილი.

ლექსები თარგმნილია ირაკლი აბაშიძის, გრიგოლ აბაშიძის, შალვა ამისულაშვილის, დავით გაჩეჩილაძის, ალექსანდრე გომიაშვილის, იოსებ გრიშაშვილის, გიორგი კაჭახიძის, კარლო კალაძის, გიორგი კალანდაძის, ნიკოლოზ ნადირაძის, გიორგი შატბერაშვილის და სხვათა მიერ. მათ მშვენივრად გადმოუტანიათ ქართულად ორიგინალის ყველა ღირსება და თვისება.

სამწუხაროდ, ამ კარგი წიგნისათვის ბოლომდე ვერ მიუდევნებიათ თვალი გამომცემლობა „საბჭოთა მწერლის“ მუშაკებს. ამის შედეგად ორჯერ არის შეტანილი ლექსი „გზაში“. 52-ე გვერდზე მოთავსებულია ამ ლექსის დავით გაჩეჩილაძისეული თარგმანი, ხოლო 71-ე გვერდზე — გიორგი კალანდაძის მიერ შესრულებული. წიგნში მოთავსებულია ლექსი „ყუბანელებთან“, ავტორი კი თავის ლექსს უძღვნის არა ყუბანელებს, არამედ დაღისტნის ერთ-ერთი აულის — ყუბაჩის მცხოვრებთ, ოქროჭედილობის უბადლო ოსტატებს. ასეთივე უნებური შეცდომაა დაშვებული ლექსში, რომელიც დაბეჭდილია სათაურით: „მახაჩყალის გ. ცადასას სახელობის სტუდენტ მემაღაროელ ქალთა სიმღერა“. უნდა იყოს: „მახაჩყალის გ. ცადასას სახელობის მთიელ ქალთა ინსტიტუტის სტუდენტთა სიმღერა“.

მთავარი მაინც ის ძლიერი შთაბეჭდილებაა, რასაც მთლიანად სტოვებს მოძმე ხალხის ნიჭიერი პოეტის რჩეულ ნაწარმოებთა კრებული.

რასულ გამზატოვს აქამდე ჩვენ ვიცნობდით რუსულ ენაზე გამოცემული წიგნებით. დღეიდან მისი პოეზია ქართულადაც ამეტყველდა! ქართველი მკითხველი მას დიდი გულისყურით მოუსმენს.

ხუტა ბერულავა.

ახალი სპექტაკლი

ჭიათურა. (საკ. კორ.). ჭიათურის ა. წერეთლის სახელობის სახელმწიფო თეატრის კოლექტივმა მაყურებელს უჩვენა ვ. ახლაკაშვილის პიესა „ფოლადაური“. როლებს ასრულებენ საქართველოს სსრ დამსახურებული არტისტები ვ. სვანელი, გ. ტყაბლაძე, მ. ვამაძე, მსახიობები ა. მოსაშვილი, ნ. ერიაშვილი, ა. დათებაშვილი, მ. კუსიანი, ბ. დურმიშიძე, ნ. ქამუშაძე, ვ. ვამაძე და სხვები.

პიესა დადგა ხელოვნების დამსახურებულმა მოღვაწემ ს. ცომაიამ, მხატვრულად გააფორმა ხელოვნების დამსახურებულმა მოღვაწემ მ. აბჟანდაძემ, მუსიკა დაწერა გ. თხელიძემ.

ქართული ხელოვნებისა და ლიტერატურის დეკადის წინ

საქართველო ეკრანზე

— ღრუბლებს მაღლიდან გადმოყურებენ კავკასიონის გოლიათები — უშბა... ყაზბეგი... ამ მთების კალთებიდან დაწყებული 72 ათას კვადრატულ კილომეტრზე გადაშლილია საქართველო, — კითხულობს დიქტორი და მაყურებლის თვალწინ იშლება ჩვენი რესპუბლიკის პანორამა.

ასე იწყება ლენინის ორდენოსანი კინოსტუდია „ქართული ფილმის“ ახალი მხატვრულ-დოკუმენტური ფილმი „საბჭოთა საქართველო“.

ხალხის შემოქმედებითი პათოსით აღსავსე შრომამ სახე უცვალა საქართველოს, ააყვავა და დიადი საბჭოთა ქვეყნის ერთ-ერთ მოწინავე რესპუბლიკად აქცია იგი. სარეცენზიო ფილმი პუბლიცისტური გზნებით ახასიათებს კომუნიზმის მშენებელი ადამიანების შრომითს გმირობას, სიმართლით გვიჩვენებს საბჭოთა საქართველოს გიგანტურ ზრდას.

ფილმის ავტორებს მიზნად დაუსახავთ დინამიკურ ეპიზოდებში აღებეჭდათ ჩვენი რესპუბლიკის სიხსნლსავსე ცხოვრება, მისი ახალი ადამიანები, მათი ყოველდღიური საქმიანობა, მაყურებლისათვის გადაეშალათ საქართველოს ულამაზესი ბუნების სიდიადე და მრავალფეროვნება. ეს ამოცანა ძირითადად შესრულებულია.

კინოპოემაში ზომიერების გრძნობითა და გემოვნებით არის დახატული ქართველი ხალხის ისტორია. უძველესი ქართული ხუროთმოძღვრების ბრწყინვალე ძეგლები. ლამაზ მხარეს ოდითვე დარაჯად რომ ედგნენ საქართველოს ძმის წარსულის მოწმე ციხებურჯგები, კლდეში გამოკვეთილი ციხე-ქალაქი ვარძია, გელათი და მცხეთის ტაძარი სვეტიცხოველი.

ეკრანზე ვხედავთ ლენინური პრემიის ლაურეატს, პროფესორ მელიქიშვილს, რომელმაც ჩვენი წინაპრების იბერების ხელით ნაწერი ურარტუს ლურსმული წარწერები ამოიკითხა.

მრავალი ბრძოლის მოწამეა 1500 წლის თბილისი — საქართველოს გული. ეკრანზე ერთმანეთს ცვლიან ძველი და ახალი თბილისის ამსახველი კადრები — მრავალქარიშხალგადატანილი ნარიყალას კედლები, მეტეხი და ახალი თბილისის მონუმენტური ნაგებობები, მაგისტრალები, ზურმუხტოვანი ხეივნები.

საბჭოთა ხელისუფლების წლებში საქართველოში შეიქმნა მძლავრი მრეწველობა, მძიმე ინდუსტრიის პირმშო — რუსთავის მეტალურგიული ქარხანა. სხვადასხვა გამომსახველობითი საშუალებებია მოძებნილი ფოლადის დნობის ოსტატების შრომის ჩვენებისათვის. რეჟისორისა და ოპერატორების მიერ ოსტატობით არის შესრულებული ქართული ფოლადის შექმნის ამსახველი კადრები.

მომდევნო კადრებში ვხედავთ ჭიათურელ მაღაროელებს, ტყვარჩელელ მეშახტეებს, რომლებმაც თავი ისახელეს ნოვატორული შრომით. ქუთაისის საავტომობილო ქარხნის მთავარი კონვეიერიდან ჩამოდიან ქართული ავტომობილები.

რესპუბლიკის საწარმოებს, მის მძლავრ ინდუსტრიას ელექტროენერგიას აძლევენ წყალუხვი მდინარეები. ფილმში შეტანილია ისტორიული ქრონიკა, რომელშიც ნაჩვენები არიან სერგო ორჯონიკიძე და ფილიპე მახარაძე ზაჰესის მშენებლობის შაბათობაზე. კადრები მჭევრმეტყველურად ასახავენ მშენებლობის სახალხო ხასიათს და ხალხის უდიდეს შრომითს აღმავლობას. ზაჰესს მხარში ამოუდგნენ ახალგაზრდა მძლავრი ელექტროსადგურები.

მაგრამ მარტო ელექტროენერგიას როდი იძლევიან მდინარეები. მაყურებლის თვალწინ იშლება ძველი და ახალი სამგორის მრავალმეტყველი კადრები. — იქ, სადაც სამგორს ვერცხლის ქამარივით შემოურტყამს ხარწყავი არხი, — გადმოგვცემს დიქტორი, — ცოტა ხნის წინათ ნამდვილი უდაბნო იყო. სევდის მომგვრელად მოსჩანდა ერთი ხე. სწყუროდა ხალხს... სწყუროდა პირუტყვს... სწყუროდა მიწას. პარტიის მოწოდებით შეუტიეს სამგორის დაგვალულ ველებს. სიცოცხლის ტალღად წამოვიდა იორი. ახრულდა მამა-პაპის წმინდა ოცნება. ბაღჩა-ბაღებით დაიფარა სამგორის ველი.

შირაქი!.. ეკრანზეა კოლმეურნეობის თავმჯდომარე, სოციალისტური შრომის გმირი ივანე ქავთარაძე, საკოლმეურნეო დოვლათის ოსტატები — კომბაინერები ნიკო ზაქაიძე და ივანე მამუკაშვილი. მაყურებლის თვალწინ გაივლის ახალი ცხოვრების შემოქმედი ადამიანების ცოცხალი პორტრეტების გალერეა.

ფილმი გადმოგვცემს, თუ როგორ ასრულებენ საქართველოს მეცხოველეობის მუშაკები საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის იმ მოწოდებას, რომ უახლოეს დროში დავეწიოთ ამერიკის შეერთებულ შტატებს ერთ სულ მოსახლეზე ხორცის, რძისა და კარაქის წარმოების მხრივ. ორი-სამი კადრი, დიქტორის ერთი მოკლე ფრაზა, და ახლო პლანში გამოჩნდება დმანისის საბჭოთა მეურნეობის მეხბორე მარიამ დიაკოვა, რომელმაც ოცი ხბო შეინარჩუნა და გაზარდა. ერთმანეთს მისდევს ალპურ საძოვრებზე ღრუბლებად შეფენილი ცხვრის ფარებისა და მსხვილფეხა რქიანი საქონლის ჯოგების ამსახველი კადრები.

ჩაის ბუჩქების ცისარტყელებით დახატულია აჭარის მთა-გორები. აჭარისა და გურიის ლაყვარდოვან პლანტაციებში მუშაობენ სოციალისტური შრომის გმირები დარეჯან ტაკიძე, შუშანა დარჩია, ნორა კილაძე.

ქართველ მეცნიერებს დიდი წვლილი შეაქვთ ცოდნის ყველა დარგში. ეკრანზე არიან მოწინავე მეცნიერები, ნოვატორები, გამომგონებლები. პროფესორი ევგენი ხარაძე აბასთუმნის ასტროფიზიკური ობსერვატორიიდან თვალყურს ადევნებს დედამიწის თანამგზავრს, აკადემიკოსები ალექსანდრე ჯანელიძე და გიორგი ძოწენიძე მუშაობენ ქვანახშირის ახალი სადიდების აღმოჩენაზე.

ფილმში ბევრი კარგი კადრია, რომლებიც გადმოგვიშლის ქართველი ხალხის სულიერ სამყაროს. მწერალთა კავშირში სტუმრად მოვიდა ჩვენი კულტურის მოამაგე, ჩეხურ ენაზე „ვეფხისტყაოსნის“ მთარგმნელი იაროსლავ იედლიჩკა.

ქართველმა ხალხმა, მთელმა საბჭოთამ ზეიმით აღნიშნა დიდი მწერლისა და მოაზროვნის ილია ჭავჭავაძის დაბადების 120 წლისთავი. ყვავილი. ილია ჭავჭავაძის სახლი-მუზეუმი. საიდან არ მოდიან სტუმრები — მოძმე რესპუბლიკათა წარმომადგენლები ილიას პატივსაცემად გამართულ მიტინგზე.

საბჭოთა ხელისუფლების წლებში უმაგალითოდ გაიზარდა და განვითარდა მდიდარი ტრადიციების მქონე ქართული კულტურა. ეკრანზე ვხედავთ ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის თეატრისა და რუსთაველის სახელობის დრამატული თეატრის საუკეთესო დადგმათა ნაწყვეტებს.

ფილმის საინტერესო კადრებია ახალგაზრდობის მეექვსე მსოფლიო ფესტივალის მონაწილე ქალ-ვაჟის ხოფიო იაშვილისა და ჯემალ კიკნაველიძის ქორწილი მოსკოვში.

კინოკადრში ხაბავშვო რკინიგზაზე პატარა მემანქანის პირველი რეისია, ხოლო ხანდაზმული მემანქანე გაჩეჩილაძე უკანასკნელი რეისიდან ბრუნდება. ვეტერანის ადგილს ახალგაზრდა მემანქანე ბოგვერაძე იჭერს. ერთნი მიდიან დასასვენებლად, მეორენი კი ახლა იწყებენ გამოსვლას ცხოვრების ასპარეზზე.

ეკრანზე ახლებურად არის გადმოცემული საქართველოს ქალაქებისა და სოფლების სილამაზე. მაყურებელზე წარუშლელ შთაბეჭდილებას ტოვებს გორისადმი მიძღვნილი კადრები. ყოველი კუთხიდან მოდიან ამ სახელგანთქმულ ქალაქში ი. ბ. სტალინის სახლ-მუზეუმის სანახავად.

სპორტის მრავალი ეროვნული სახე შემოინახა ქართველმა ხალხმა. კარგად არის ნაჩვენები ქართველი ხალხის უსაყვარლესი სპორტი-ცხენოსნობა. საბჭოთა ალპინიზმის ისტორია იწყება ყაზბეგზე ქართველი მთამსვლელების ასვლით. კავკასიონის მწვერვალების დაპყრობის შემდეგ პამირზე, სამყაროს ჭერზე დაადგა ფეხი ქართველმა კაცმა.

ფილმის ღირსებაა, რომ გრანდიოზული მშენებლობის და სხვა დიდი მასშტაბის ხუთათების ფონზე ადამიანები სრულიადაც არ იჩრდილებიან.

სხვადასხვა დროსა და პირობებში არიან ნაჩვენები ფოლადის დნობის ოსტატი ვაჟა გიგიბერია და მაღაროელი გიორგი ბაქრაძე, ჩაის კრეფის სახელმოხვეჭილი ოსტატი დარეჯან ტაკიძე და აკადემიკოსი ქსენია ბახტაძე, კალატოზი ვლადიმერ ჩიბურდანიძე და მასწავლებელი ეკატერინე დიდია, მწერალი დავით ჯიოევი და ბალეტის ოსტატი ვახტანგ ჭაბუკიანი. მაგრამ ფილმის საერთო კონტექსტში ისინი თითქოს ერთად არიან. მშენებლობების, მსხვილი სამრეწველო საწარმოებისა თუ გაშლილი საკოლმეურნეო მინდვრების დიდი მასშტაბის ფონზე ადამიანები არათუ არ იკარგებიან, არამედ ინდივიდუალურ ხასიათსაც ინარჩუნებენ.

— მაღალი არიან ზვიადი მწვერვალები, მაგრამ მათზე მაღლა დადგა ადამიანი! — ამბობს დიქტორი, და ეს ლიტონი სიტყვები როდია. ეს ფილმის ლეიტმოტივია.

ფილმში კარგად არის დანახული ცხოვრების ყველაზე მახვილი, სიცოცხლისშემცველი და მეტყველი მომენტები. ყოველი დეტალი ღრმად არის გააზრებული და განზოგადებული. ამით არის გამოწვეული ფილმის ემოციური ზემოქმედების სიძლიერე.

ფილმს აქვს ზოგიერთი ხარვეზი. მის ნაკლად უნდა ჩაითვალოს სინქრონული მასალის სიმცირე და ზოგიერთი კადრის სტატიკურობა. კომპოზიტორების შემოქმედებითი შრომის ამსახველ ეპიზოდს ხელოვნურობა ეტყობა. ზოგჯერ კადრების თანმიმდევრობაც ირღვევა. სადიქტორო ტექსტი ყოველთვის არ შეესატყვისება გამოსახულებას.

მაგრამ ეს ნაკლოვანებანი როდი ჩრდილავენ ფილმის ღირსებას.

მაღალი გემოვნებითა და პროფესიული კულტურით აღსანიშნავია ფილმის ავტორისა და დამდგმელ-რეჟისორის ს. დოლიძის, რეჟისორ — ოპერატორ გ. ასათიანის მუშაობა. კარგ შთაბეჭდილებას ახდენს ოპერატორების ლ. არზუმანოვის, ა. ფილიპაშვილის, ო. დეკანოსიძის, ბ. კრეპსის, ა. სემიონოვის ნამუშევარი. ფილმში მელოდიურად ჟღერს კომპოზიტორების ს. ცინცაძისა და ბ. კვირნაძის მშვენიერი მუსიკა. იგი ორგანულად არის შეხამებული სურათის გამოსახულებასთან.

სადიქტორო ტექსტი (ავტორი

დამთავრდა პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის XI პლენუმი

ვარშავა, 2 მარტი. (საკ.დესი). დღეს პოლონეთის გაზეთებმა გამოაქვეყნეს შემდეგი ცნობა:

ამ წლის 1 მარტს მუშაობა დაამთავრა პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის XI პლენუმმა, რომელმაც სამ დღეს გასტანა.

საბოლოო სიტყვა წარმოთქვა პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ვლადისლავ გომულკამ.

პლენუმმა მიიღო გადაწყვეტილება „1958 წელს ეკონომიური პოლიტიკის ზოგიერთ საკითხზე".

პლენუმმა მიიღო აგრეთვე შემდეგი გადაწყვეტილება:

„ცენტრალური კომიტეტი იწონებს სოციალისტური ქვეყნების 12 პარტიის დეკლარაციას, აგრეთვე მსოფლიოს 64 კომუნისტური და მუშათა პარტიის მანიფესტს, რომლებიც მიღებულ იქნა მოსკოვის თათბირზე და რომლებსაც უდიდესი მნიშვნელობა აქვთ სოციალისტური ქვეყნების სოლიდარობისა და კომუნისტური და მუშათა პარტიების მოქმედების ერთიანობის განსამტკიცებლად მშვიდობისა და სოციალიზმისათვის ბრძოლაში, აგრეთვე იწონებს პოლონეთის დელეგაციის გამოსვლას, რომელიც სავსებით შეესაბამება პარტიის პოლიტიკურ გეზს".

ორგანიზაციულ საკითხზე პლენუმმა დაადგინა გამოიყვანოს ამხ. ვიქტორ კლოსევიჩი ცენტრალური კომიტეტის შემადგენლობიდან და გამოუცხადოს მას საყვედური გაფრთხილებით პარტიის ერთიანობისათვის ძირის გამოთხრის ცდის გამო.

გაიხსნა ლაიპციგის საერთაშორისო საგაზაფხულო ბაზრობა

ლაიპციგი, 2 მარტი. (საკ.დესი). მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ და საგარეო ვაჭრობისა და გერმანიის საშინაო ვაჭრობის მინისტრმა ჰ. რაუმ გუშინ ლაიპციგში საზეიმო სხდომაზე გამოაცხადა, რომ ოფიციალურად გაიხსნა 1958 წლის საერთაშორისო საგაზაფხულო ბაზრობა, რომელიც აქ იქნება 2-დან 11 მარტამდე.

საზეიმო სხდომას დაესწრნენ გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის ხელმძღვანელები ვ. ულბრიხტი, გ. მატერნი, ფ. ებერტი, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მინისტრები, აგრეთვე მთავრობის დელეგაციათა წევრები, სავაჭრო ორგანიზაციების, ფირმებისა და საწარმოთა წარმომადგენელნი, რომელნიც ლაიპციგში ჩამოვიდნენ მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნიდან, დიპლომატიური კორპუსის წევრები.

დამსწრეთა შორის იყვნენ საბჭოთა მთავრობის დელეგაციის წევრები სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილის ა. ნ. კოსიგინის მეთაურობით, აგრეთვე სსრ კავშირის დროებითი სამეთა რწმუნებული გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში ს. ტ. ასტავინი.

ჰ. რაუმ თავის სიტყვაში ხაზგასმით აღნიშნა, რომ იზრდება საერთაშორისო მნიშვნელობა ლაიპციგის ბაზრობისა, ამასთან განაცხადა, რომ წელს ბაზრობის გახსნაზე სტუმრები ჩამოვიდნენ თითქმის 80 ქვეყნიდან.

შეეხო რა საერთაშორისო მდგომარეობის საკითხებს, მან განაცხადა, რომ საბჭოთა მთავრობის წინადადებებს უმაღლეს დონეზე თათბირის მოწვევის შესახებ მხარს უჭერენ ხალხის მასები მთელ მსოფლიოში, რადგან ისინი სავსებით შეესაბამებიან მშვიდობისა და ბედნიერებისადმი ყველა პატიოსანი ადამიანის მისწრაფებას.

ჰ. რაუმ თავისი სიტყვის მნიშვნელოვანი ნაწილი მიუძღვნა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის საგარეო სავაჭრო ურთიერთობის განვითარებას, ამასთან აღნიშნა, რომ გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკასა და სოციალისტური ბანაკის ქვეყნებს შორის განუწყვეტლივ იზრდება საქონელბრუნვა.

მან განაცხადა, რომ მარტო 1955 წლიდან გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის საგარეო ვაჭრობა 40 პროცენტით გადიდდა.

ლაიპციგი, 2 მარტი. (საკ.დესი). დღეს აქ გაიხსნა 1958 წლის საერთაშორისო საგაზაფხულო ბაზრობის ტექნიკის გამოფენა.

წელს ბაზრობის საერთო საგამოფენო ფართობი შეადგენს 287 ათას კვადრატულ მეტრს.

გამოფენაზე ფართოდ არის წარმოდგენილი მსოფლიოს 43 ქვეყნის 9.600-ზე მეტი საგარეო ვაჭრობის ორგანიზაცია, ეკონომიური გაერთიანება და ფირმა. წელს ბაზრობაში პირველად მონაწილეობენ იემენი, ერაყი და ესპანეთი.

ბაზრობის ყველაზე დიდი ექსპონენტია მისი ორგანიზატორი — გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა. გამოფენილია გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მრეწველობის სულ სხვადასხვა დარგის ნაწარმი, რომელიც დამაჯერებლად მოწმობს რესპუბლიკის წარმატებას მრეწველობის განვითარების დარგში.

ისევე როგორც წარსულ წლებში, ბევრი მნახველია საბჭოთა კავშირის პავილიონში. აქ ნაჩვენებია სხვადასხვა სამრეწველო მოწყობილობის ნიმუშები — ავტომობილები, სასოფლო-სამეურნეო მანქანები, სულ სხვადასხვა ჩარხი და მოწყობილობა, ელექტროტექნიკის ნაწარმი და სხვ.

გამოფენის დიდი მონაწილეა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა. ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის პავილიონის ექსპონატები მოწმობენ ჩინეთის მრეწველობის სწრაფ განვითარებას. მსუბუქი მრეწველობის ნაწარმის ნიმუშებთან ერთად აქ ვხვდებით სხვადასხვა მანქანასა და ჩარხს, რომლებიც ჩინეთის საწარმოებს გამოუშვიათ.

ჩეხოსლოვაკიის, უნგრეთის, პოლონეთისა და სახალხო დემოკრატიის სხვა ქვეყნების მუდმივ ლამავლობას მოწმობენ მათი ექსპონატები გამოფენაზე.

ბაზრობაზე მნიშვნელოვანი ადგილი აქვს დათმობილი წლევანდელი ბაზრობის მონაწილე 34 კაპიტალისტური ქვეყნის სამრეწველო ფირმების ნაწარმის ჩვენებას.

აიკრძალოს ატომგულის იარაღი

ატომური და წყალბადის იარაღის აკრძალვისათვის ხალხთა ერთობლივი ბრძოლის დღისადმი მიძღვნილი საღამო

1 მარტს აზიისა და აფრიკის ქვეყნებში მოეწყო ატომური და წყალბადის იარაღის აკრძალვისათვის ხალხთა ერთობლივი მოქმედების დღე. თერმოატომგულის იარაღის წარმოებისა და გამოცდის წინააღმდეგ პროტესტის ხმა გაისმა მოსკოვის ხელოვნების მუშაკთა ცენტრალური სახლის ტრიბუნიდან, სადაც შეიკრიბნენ დედაქალაქის მშრომელთა წარმომადგენლები, მეცნიერები, კულტურის მოღვაწეები, მშვიდობის დაცვის საბჭოთა კომიტეტის, აზიის ქვეყნების სოლიდარობის საბჭოთა კომიტეტის და სხვა მასობრივი საზოგადოებრივი ორგანიზაციების ხელმძღვანელები.

საპატიო სტუმართა შორის იყვნენ მთელ რიგ სახელმწიფოთა საელჩოების წარმომადგენლები.

საღამო გახსნა მშვიდობის დაცვის საბჭოთა კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილემ ზ. ა. ლებედევამ.

საღამოზე სიტყვები წარმოთქვეს აკადემიკოსმა ნ. ნ. ბოგოლიუბოვმა, მწერალმა ა. ვ. სოფრონოვმა, იაპონიის ხელოვნების საერთაშორისო ცენტრის გენერალურმა მდივანმა ხაიასი ხიროკიტიმ, სსრ კავშირის სახალხო არტისტმა ს. ვ. გიაცინტოვამ, სსრ კავშირის მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის წევრმა — კორესპონდენტმა ნ. ნ. ბლოხინმა, აზიისა და აფრიკის ხალხთა სოლიდარობის საბჭოს მუდმივ სამდივნოში საბჭოთა წარმომადგენელმა გაფურ აბდურაშიდოვმა, კრუტიცისა და კოლომნის მიტროპოლიტმა ნიკოლოზმა, კენიის დელეგატმა კაიროს კონფერენციაზე დ. ჯ. კამეიდხიმ. გამოხატავდა რა საბჭოთა ადამიანებისა და ყველა მშვიდობისმოყვარე ადამიანის ნებას, ყველა ორატორმა მტკიცედ მოითხოვა ატომური და წყალბადის იარაღის აკრძალვა, რათა კაცობრიობა სამუდამოდ განთავისუფლდეს გამანადგურებელი ატომური ომის საფრთხისაგან.

საღამოს მონაწილეებმა ერთსულოვნად მიიღეს რეზოლუცია და გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურ მდივანს დაგ ჰამარშელდს გაუგზავნეს დეპეშა. (საკ.დესი).

უცხოეთთან კულტურული ურთიერთობის სრულიად საკავშირო საზოგადოებაში

ამა წლის 27 თებერვალს გაიმართა უცხოეთთან კულტურული ურთიერთობის სრულიად საკავშირო საზოგადოების გამგეობის სხდომა, რომელიც მონაწილეობა მიიღეს უცხოეთთან კულტურული ურთიერთობის სრულიად საკავშირო საზოგადოების კულტურის, მეცნიერებისა და ტექნიკის სხვადასხვა დარგის სექციათა პრეზიდენტებმა.

სხდომის მონაწილეებმა აღნიშნეს, რომ უცხოეთთან კულტურული ურთიერთობის სრულიად საკავშირო საზოგადოებამ თავისი არსებობის 32 წელიწადში მნიშვნელოვანი მუშაობა გასწია უცხო ქვეყნების ხალხებთან ჩვენი ქვეყნის ხალხთა მეგობრული და კულტურული ურთიერთობის დასამყარებლად და განსავითარებლად. უცხოეთთან კულტურული ურთიერთობის სრულიად საკავშირო საზოგადოებას ურთიერთობა ჰქონდა სსრ კავშირთან მეგობრობისა და კულტურული ურთიერთობის ათობით უცხოურ საზოგადოებასთან და უცხოეთის კულტურის, მეცნიერებისა და ხელოვნების მრავალ ასობით ცალკეულ მოღვაწესთან.

ამ უკანასკნელ თვეებში სსრ კავშირში შეიქმნა მთელ რიგ უცხო ქვეყნებთან მეგობრობისა და კულტურული ურთიერთობის საზოგადოებანი. სრულიად საკავშირო კონფერენციაზე, რომელიც 17-18 თებერვალს მიმდინარეობდა, შეიქმნა უცხო ქვეყნებთან მეგობრობისა და კულტურული ურთიერთობის საბჭოთა საზოგადოებების კავშირი. უცხოეთთან კულტურული ურთიერთობის სრულიად საკავშირო საზოგადოებამ ხელი შეუწყო და მონაწილეობა მიიღო მეგობრობის საზოგადოებათა შექმნაში და უცხო ქვეყნებთან მეგობრობისა და კულტურული ურთიერთობის საბჭოთა საზოგადოებების სრულიად საკავშირო კონფერენციის მოწვევაში.

იმასთან დაკავშირებით, რომ მომავალში უცხო ქვეყნებთან მეგობრობისა და კულტურული ურთიერთობის საბჭოთა საზოგადოებების კავშირი ფართო საზოგადოებრივ საფუძველზე განახორციელებს მუშაობას უცხო სახელმწიფოთა ხალხებთან კულტურული თანამშრომლობის განსავითარებლად, უცხო ქვეყნებთან კულტურული ურთიერთობის სრულიად საკავშირო საზოგადოების გამგეობამ ერთსულოვნად ცნო, რომ მიზანშეუწონელია უცხოეთთან კულტურული ურთიერთობის სრულიად საკავშირო საზოგადოების შემდგომი არსებობა და მიიღო გადაწყვეტილება მისი საქმიანობის შეწყვეტის შესახებ.

გადადგა საბერძნეთის მთავრობა

ათენი, 2 მარტი. (საკ.დესი). დღეს დილით პრემიერ-მინისტრმა კარამანლისმა საბერძნეთის მეფეს გადასცა განცხადება საბერძნეთის მთავრობის გადადგომის შესახებ.

გადადგომას წინ უძღოდა ის, რომ პარლამენტის 15 დეპუტატმა მთავრობის პარტიისაგან „ეროვნული რადიკალური კავშირი" აპოსტოლიდისისა და პაპალიგურასის მეთაურობით უარი თქვა მხარი დაუჭიროს პრემიერ კარამანლისს. ამის შედეგად კარამანლისმა დაკარგა 15 დეპუტატის მხარდაჭერა და უმეტესობა პარლამენტში.

პრესა აღნიშნავს, რომ 15 დეპუტატის უარი მხარი დაუჭირონ კარამანლისს იმით აიხსნება, რომ ისინი არ ეთანხმებიან ახალ საარჩევნო კანონპროექტს, რომელიც პრემიერ-მინისტრმა წარადგინა პარლამენტში.

საარჩევნო კანონის ახალი პროექტი, წერს გაზეთი „ავგი", დაგმო ოპოზიციის ყველა პარტიამ, გარდა ლიბერალების პარტიისა. მაგრამ თვით ლიბერალების პარტიაშიც დეპუტატების მნიშვნელოვანმა ნაწილმა უარი თქვა მხარი დაეჭირა ამ პროექტისთვის.

„დიდი საბჭოთა ენციკლოპედიის" გამომცემლობაში

მიმდინარე წელს მთავრდება დიდი საბჭოთა ენციკლოპედიის გამოშვება. დაგეგმილი ორმოცდაათი ტომის გარდა, ხელისმომწერნი დამატებით მიიღებენ 51-ე ტომს, რომელიც შეიცავს სხვადასხვა მნიშვნელოვან საკითხებზე გამოქვეყნებულ 900-მდე სტატიას და მდიდარ საცნობარო მასალას (ფულის სისტემა, ყველა ქვეყნების ზომისა და წონის ცხრილები, გამოგონებათა და აღმოჩენათა ქრონოლოგია უძველესი დროიდან დღემდე, რუსულ ენაში შემოსული უცხო სიტყვები და გამოთქმები).

გამომცემლობა „დიდი საბჭოთა ენციკლოპედიის" კოლექტივი ამჟამად მუშაობს „ათტომიან „მცირე საბჭოთა ენციკლოპედიაზე", რომელიც 1958-1959 წლებში გამოიცემა. კოლექტივი ემზადება დარგობრივი — ისტორიული, გეოგრაფიული, ფილოსოფიური, საინჟინრო, სამხედრო, პედაგოგიური, ბიოლოგიური, ქიმიური, თეატრალური, ხელოვნების ენციკლოპედიების დიდი სერიის გამოსაცემად. გარდა ამისა, წელს გამოვა ლექსიკონი „ატომური ენერგია", აგრეთვე შრომის სამართლის, მუსიკალური ლექსიკონები, ბუნებისმეტყველებისა და ტექნიკის მოღვაწეთა ბიოგრაფიული ლექსიკონი, ცნობარი სსრ კავშირის ხალხთა შესახებ. მომავალში განზრახულია გამოიცეს ფიზიკური, ქიმიური, სამრეწველო-ეკონომიური სამედიცინო ლექსიკონები, ცნობარი „დედამიწა და მისი წარსული" და სხვ. მკითხველები მალე მიიღებენ ენციკლოპედიურ ცნობარს „ლენინგრადს", რომელიც მიძღვნილია ლენინის ქალაქის 250 წლისთავისადმი.

მოკლედ

⊙ ავეჯის სპეციალიზებული მაღაზია გახსნა „თბილმრეწვავაჭრობამ" ჩელიუსკინელების ქუჩაზე. აქ იყიდება ესსადილო გასაშლელი მაგიდები, დივნები, მონიკელებული საწოლები, პირსაბანები და სხვ. ორი კვირის განმავლობაში აქ ასი ათასი მანეთის ავეჯი გაიყიდა. მაღაზია მიმდინარე წლის მეორე კვარტალიდან ელოდება საბჭოთა კავშირის მოძმე რესპუბლიკების საავეჯო საწარმოების მაღალხარისხოვან პროდუქციას.

⊙ ხარეცხი სითხის დამამზადებელი საამქრო შეიქმნა საქალაქო საბჭოს აღმასკომის ადგილობრივი მრეწველობის სამმართველოს საწარმოო კომბინატთან. საამქრო მარტის ბოლო რიცხვებიდან განაახლებს მაღალხარისხოვანი ხარეცხი სითხის „კა-I"-ის გამოშვებას. სითხის დამზადებას უხელმძღვანელებს გამომგონებელი ქიმიკოსი ა. კარჭაული.

⊙ მსუბუქი მანქანების პროფილაქტიკის საამქრო გაიხსნა 26 კომისრის რაიონში, შავი ზღვის ქუჩაზე. აქ წარმოებს მანქანების მიმდინარე რემონტი, შეღებვა, დაზეთვა და ზოგიერთი ნაწილის გამოცვლა. უახლოეს ხანში, მარნეულის გზატკეცილზე, სპეციალურად აგებულ შენობაში, გაიხსნება კეთილი საამქრო. დიღმის გზაზე სულფოაცეტოფენონის საამქროს მოსაწყობად ქალაქის საბჭოს აღმასკომმა გამოჰყო მიწის ნაკვეთი.

თვითმოქმედი მხატვრული კოლექტივების დასახმარებლად

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნებისათვის დიდი მზადებაა რესპუბლიკის თვითმოქმედ მხატვრულ კოლექტივებში. საქართველოს ხალხური შემოქმედების რესპუბლიკურმა სახლმა თვითმოქმედი თეატრალური კოლექტივების დასახმარებლად დაბეჭდა მ. გოგიაშვილის პიესა „პარალელური ხაზები", მისივე „ცისფერი ექსპრესი ანუ არჩევნები ამერიკაში", ნ. არეშიძის „მოწამლული სასმისი" და სხვ. ეს პიესები და სარეკომენდაციო რეპერტუარის სიები უკვე დაეგზავნათ რესპუბლიკის თვითმოქმედ კოლექტივებს.

სპორტის ამბები

უძლიერესთა შეხვედრები

2 მარტს საღამოს გამოვიდა მსუბუქი და მეორე საშუალო წონის 15 წყვილი. მსუბუქ წონაში გაიმარჯვეს და შეჯიბრების შემდეგ ეტაპში მონაწილეობის უფლება მოიპოვეს ნ. ჰუსნუტდინოვმა (ტაშკენტი), ს. ბადალმა (კრასნოდარი), ს. ეგოიანმა (ერევანი), ე. მელჩიკმა (ბაქო), თ. გუჯაბიძემ (ქუთაისი), ვ. აგარონოვმა (ტაშკენტი), ი. შურიგინმა (ორენბურგი).

მეორე საშუალო წონაში თბილისელი მაყურებლები რინგზე ხედავდნენ სპორტის ოსტატის ნ. დაბაიანელის ბრძოლას, მეორე რაუნდში მან ნოკაუტით მოიგო შეჯვედრა ს. მაკაროვთან (კალინინგრადი). ფოთელი მოკრივე ნ. ამაშუკელი წარმატებით გამოვიდა სპორტის ოსტატის რ. ასლანიანის (ბაქო) წინააღმდეგ, მან ძლიერად ჩაატარა მესამე რაუნდი და მოიგო შეჯვედრა. თბილისელმა ვ. სოლაგაძემ დაამარცხა ს. მკრტჩიანი (ერევანი), ბ. ნაზარენკომ (ორჯონიკიძე) — ა. ტოვმასიანი (ერევანი).

გუშინდელი დილის შეჯვედრების შემდეგ საქართველოდან ნახევარფინალში გავიდნენ ი. აკმურზინი, გ. ბუმბიაშვილი, ი. სილაგაძე, თ. მიქაელიანი და სხვ.

დღეს გაიმართება ნახევარფინალური შეჯვედრები.

* * *

სურათზე: ზემოთ — ჩემპიონატის მონაწილეთა პარადი; ქვემოთ — მოკრივეთა შეჯვედრის ერთ-ერთი მომენტი.

ფოტო ვ. გინზბურგისა.

მსოფლიო პირველობა ჰოკეიში

ოსლო, 3 მარტი. მსოფლიო პირველობის გათამაშება შაიბიან ჰოკეიში სპორტის მოყვარულთა საერთო ინტერესს იწვევს. ეს შეჯიბრება ამავე დროს წარმოადგენს ევროპის ჩემპიონატს. მასში მონაწილეობას იღებენ კანადის, სსრ კავშირის, ჩეხოსლოვაკიისა და სხვა ქვეყნების ნაკრები გუნდები.

ჩემპიონატის გახსნა წილად ხვდა ჩეხოსლოვაკიისა და ფინეთის გუნდებს. მატჩი დამთავრდა ჩეხოსლოვაკიის სპორტსმენთა კოლექტივის გამარჯვებით ანგარიშით 5:1.

საბჭოთა ჰოკეისტები ბრძოლაში ჩაებნენ 1 მარტიდან. ამავე დღეს კანადის გუნდმა დაამარცხა პოლონელი ჰოკეისტები 14:1, შვეიცის გუნდმა — ნორვეგიელი სპორტსმენები 9:0.

გუშინ სსრ კავშირის ნაკრებმა გუნდმა მოიგო ფინელ ჰოკეისტებს 10:0.

მწვრთნელთა და ჰოკეის სპეციალისტთა საერთო აზრით, პირველობის საკითხს გადაწყვეტს სსრ კავშირისა და კანადის ნაკრები გუნდების მატჩი, რომელიც შეჯიბრების უკანასკნელ დღეს, 9 მარტს გაიმართება.

ლახტის მიდამოებში

ლახტი, 3 მარტი. ფინეთის ქალაქ ლახტში დიდი გამოცოცხლებაა. სხვადასხვა ქვეყნიდან აქ ჩამოვიდნენ უძლიერესი მოთხილამურეები, მწვრთნელები, ჟურნალისტები, ტურისტები.

მსოფლიო პირველობის გათამაშება სათხილამურო სპორტში ფინეთის, სსრ კავშირის, ნორვეგიისა და სხვა ქვეყნების წარმომადგენელთა მონაწილეობით საზეიმოდ გაიხსნა 1 მარტს. გუშინ გაიმართა შეხვედრები სათხილამურო გადარბენაში ვაჟთათვის 30 კილომეტრზე და ორჭიდის ერთ-ერთ სახეობაში — ტრამპლინიდან ხტომაში.

სტარტი 60 სპორტსმენმა აიღო. ბრძოლა ძირითადად ფინეთისა და სსრ კავშირის წარმომადგენელთა შორის მიმდინარეობდა და პირველი ორი ადგილიც მათ დაიკავეს. ტრამპლინიდან ხტომაში გამარჯვება ფინელ სპორტსმენს ხვდა. სსრ კავშირის მოთხილამურე ფეოდოროვი მეორე ადგილზე გამოვიდა.

შეჯიბრება გრძელდება.

რედაქტორის მოადგილე
დ. სტურუა.

ღირსშესანიშნავი წლისთავი

თურქეთის უღლისაგან გულგარეთის განთავისუფლების მე-80 წლისთავისათვის

ოთხმოცი წლის წინათ მოძმე რუსმა ხალხმა გაათავისუფლა ბულგარეთი თურქეთის ხუთი საუკუნის ბატონობისაგან. ჩვენი ქვეყანა დამოუკიდებელი, ეროვნული განვითარების გზას დაადგა.

ბულგარეთი თურქეთის მონობაში ჩაგარდა 1396 წელს. ეს ჩვენი ისტორიის ყველაზე შავბნელი მოვლენა იყო, ვინაიდან ხალხმა თითქმის ხუთი საუკუნით დაკარგა თავისი ეროვნული და სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა. თურქეთის სულთნებმა, ფაშებმა და ბეებმა ბულგარეთში მხეცური ეროვნული ჩაგვრისა და სასტიკი ფეოდალური ექსპლოატაციის რეჟიმი დაამყარეს. ბულგარელ ხალხს ჩაგრავდნენ და ძარცვავდნენ არა მარტო თურქი ფეოდალები და თურქეთის ადმინისტრაცია, არამედ ბაშიბუზუკ და იანიჩარ ყაჩაღთა ბანდებიც, რომლებიც ოტომანთა მთელ იმპერიაში თარეშობდნენ.

მაგრამ ბულგარელი ხალხი არ შეუერიგდა თურქეთის უღელს. ამას მოწმობენ მთელი რიგი სახალხო აჯანყებანი, გაიდუკთა ფართო მოძრაობა, აგრეთვე ბულგარელთა მონაწილეობა მეზობელი ხალხების განმათავისუფლებელ ბრძოლაში თურქეთის ბატონობის წინააღმდეგ და რუსეთის ომებში თურქეთთან.

ბულგარელი ხალხის სამართლიანი ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლა დიდი რუსი ხალხის მხურვალე თანაგრძნობასა და ძმურ მხარდაჭერას პოულობდა. რუსეთში ყველაზე ღრმა გამოხმაურება ჰპოვა 1876 წლის აპრილის აჯანყებამ, რომელიც თურქმა მჩაგვრელებმა ცეცხლითა და მახვილით ჩააქრეს. რუსეთში გაჩაღდა ფართო მოძრაობა ბულგარელი ხალხისათვის მხარდასაჭერად. ყველაზე გამოჩენილმა რუსმა მეცნიერებმა და მწერლებმა — მენდელეევმა, ლევ ტოლსტოიმ, ტურგენევმა, დოსტოევსკიმ, გარშინმა — მხარი დაუჭირეს ბულგარელთა სამართლიან ბრძოლას და მოუწოდებდნენ რუს ხალხს გაეთავისუფლებინა ბულგარეთი.

1877 წლის აპრილში რუსეთ-თურქეთის ომის გამოცხადებას დამონებული ბულგარელი ხალხი აუწერელი სიხარულით შეხვდა. რუსეთის მამაცი ჯარები ანადგურებდნენ თურქეთის მრავალრიცხოვან ურდოებს, ყველა ქალაქსა და სოფელში ბულგარელები რუს მეომრებს ეგებებოდნენ როგორც განმათავისუფლებელ ძმებს.

რუს მეომრებთან ერთად უმაგალითო გმირობა გამოიჩინეს ბულგარელმა მოლაშქრეებმაც. საერთო მტრის წინააღმდეგ ერთობლივი ძმური ბრძოლის მაგალითს წარმოადგენს ეპიკური ბრძოლები შიპკის უღელტეხილზე. ამ ბრძოლების დიდებას, ჩვენი სახალხო პოეტის ივანე ვაზოვის სიტყვით, ბალკანეთი „უღელტეხილებზე გადაიტანს და მომავალი წლების წყებას გადასცემს".

თურქეთის მრავალრიცხოვანი არმიის განადგურებამ და სან-სტეფანოს ხელშეკრულების ხელმოწერამ განთავისუფლება მოუტანა ბულგარეთს რუსეთის ათასობით მამაცი შვილის სიცოცხლის ფასად.

ბულგარელმა ხალხმა თავისუფლება მოიპოვა, მაგრამ მალე სხვა მონობაში ჩავარდა. ბულგარეთის ბურჟუაზიამ და ჩვენს ქვეყანაში მოკალთებულმა კობურგების დინასტიამ ბულგარეთი დასავლეთის იმპერიალისტურ სახელმწიფოთა ეტლში შეაბეს და ანტირუსული პოლიტიკის განხორციელება დაიწყეს. ისინი არავითარ საშუალებას არ ერიდებოდნენ, რომ შეერყიათ ბულგარელთა სიყვარული მათი განმათავისუფლებლისადმი—დიდი რუსი ხალხისადმი. ეს ამაო ცდები იყო! რუსეთ-ბულგარეთის მეგობრობის ფესვები ისე ღრმა და მტკიცე აღმოჩნდა, რომ მან ყველა განსაცდელს გაუძლო.

1944 წლის ცხრა სექტემბერს საბჭოთა არმიამ ჩვენი სამშობლო გაათავისუფლა ფაშისტური უღლისაგან. დიდი რუსი ხალხი სხვა საბჭოთა ხალხებთან ერთად მეორეჯერ გახდა ჩვენი განმათავისუფლებელი. ბულგარელმა ხალხმა თავი იხსნა ჰიტლერული ოკუპაციისაგან, დაამხო მონარქიულ-ფაშისტური დიქტატურა, დაამყარა სახალხო-დემოკრატიული ხელისუფლება და წავიდა თავისი საბჭოთა ძმების გზით.

13 წლის განმავლობაში დიდი საბჭოთა კავშირის დახმარებით და სხვა სოციალისტურ ქვეყნებთან მჭიდრო თანამშრომლობით ჩვენმა სამშობლომ ძირეულად იცვალა სახე. სუსტი და ჩამორჩენილი ბულგარეთი ისტორიის მუზეუმს ჩაბარდა. ახლა ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკა წარმოადგენს სამრეწველო-აგრარულ ქვეყანას განვითარებული მძიმე და მსუბუქი მრეწველობით, კოოპერირებული მაღალპროდუქტიული სოფლის მეურნეობით და აყვავების გზაზე მდგომი სახალხო კულტურით. აი რამდენიმე ციფრი, რაც მკაფიოდ ახასიათებს სახალხო-დემოკრატიული ბულგარეთის ეკონომიკისა და კულტურის ზრდას. 1957 წელს ჩვენს ქვეყანაში წარმოებულ იქნა 2 მილიარდ 655 მილიონი კილოვატ-საათი ელექტროენერგია (1939 წელს — 266 მილიონი კილოვატ-საათი), ამოღებულ იქნა 11 მილიონ 886 ათასი ტონა ქვანახშირი (1939 წელს — 2 მილიონ 214 ათასი ტონა), გამოშვებულ იქნა 152 მილიონ 330 ათასი მეტრი ბამბის ქსოვილები (1939 წელს — 34 მილიონ 100 ათასი მეტრი). წერა-კითხვის უცოდინარობა ჩვენს ქვეყანაში თითქმის მთლიანად ლიკვიდირებულია. ბულგარეთის 7,6 მილიონი მოსახლეობიდან უმაღლეს სასწავლებლებში 41 ათასი კაცი სწავლობს.

შეიძლებოდა მოგვეყვანა კიდევ ბევრი მონაცემიც, რომელიც მოწმობს სახალხო-დემოკრატიული ბულგარეთის პროგრესს, მაგრამ ზემოთ მოყვანილიც საკმაოდ დამაჯერებლად მეტყველებს სოციალისტური საზოგადოებრივი წყობილების დიად სასიცოცხლო ძალაზე. ეს მონაცემები მეტყველებენ აგრეთვე სოციალისტური ქვეყნების ძმური თანამშრომლობისა და ურთიერთ დახმარების ახალი ურთიერთობის კეთილნაყოფიერ გავლენაზე, ბულგარელი ხალხისა და საბჭოთა ხალხის ძმური მეგობრობის კეთილმყოფელ შედეგებზე.

მიხეილ მანევი,
ბულგარეთ-საბჭოთა კავშირის მეგობრობის საყოველთაო-სახალხო კომიტეტის პასუხისმგებელი მდივანი.

ქ. სოფია.

დღეს

თბილისის თეატრებში

რუსთაველის სახელობის — ტარიელ გოლუა, **მარჯანიშვილის სახელობის** — ესკადრის დაღუპვა, **გრიბოედოვის სახელობის** — მეექვსე სართული, **მუსიკალური კომედიის** — ნაბიჯვარი, **სომხური დრამის** — სამეული. **მოზარდ მაყურებელთა ქართული** — ამქვეყნიური სამოთხე (აბ. № 46, 5 ს.), **მოზარდ მაყურებელთა რუსული** — ზღაპარი ზღაპრებზე (აბ. № 86, 87, 88, 1 ს.).

კინოთეატრებში

რუსთაველის სახელობის, ოქტომბერი, ისანი, პლეხანოვის სახელობის კლუბი — ქარიშხლით შობილნი, **სპარტაკი, 26 კომისრის სახელობის** (მეორე დარბაზი), **საქართველო** (წითელი დარბაზი), **კოლხიდა** — ამბავი საბრალო შეყვარებულებისა, **კომკავშირელი, ძერჟინსკის სახელობის კლუბი** (საზამთრო) — ბავშვს სიყვარული უნდა, **თბილისი** — ჭიქა ლუდი, **26 კომისრის სახელობის** (პირველი დარბაზი), **ძერჟინსკის სახელობის კლუბი** (საზაფხულო) — ის თუ არა — ეს, **საქართველო** (მწვანე დარბაზი) — მეგობრობის არენა, **ი. ჭავჭავაძის სახელობის კლუბი** — თქმულება სადოს ციხესიმაგრეზე, **გორკის სახელობის კულტურის სახლი, სარეწაო საბჭოს კოოპერაციის კულტურის სახლი** — ქუჩა სავსეა მოულოდნელობით.

საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს აკადემიკოს მუხაძის სახელობის სისხლის გადასხმის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტი აცხადებს კონკურსს შემდეგ ადგილებზე:

1. კლინიკური განყოფილების ხელმძღვანელი ჰემატოლოგი — 1 — მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი ან კანდიდატი.

2. დონორთა განყოფილების ხელმძღვანელი — 1 — მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატი.

3. სისხლის შემცვლელების ლაბორატორიის ხელმძღვანელი — 1 — მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი ან კანდიდატი.

4. სამედიცინო რადიოლოგიისა და იზოტოპების ლაბორატორიის ხელმძღვანელი — 1 — მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი ან კანდიდატი.

5. უფროსი მეცნიერი თანამშრომელი — ფიზიოლოგი — 1 — მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი ან კანდიდატი.

კონკურსის ვადაა 10 დღე ამ განცხადების გამოქვეყნების დღიდან.

კონკურსში მონაწილეობის მისაღებად მსურველებმა განცხადება სათანადო სატუთებით უნდა შეიტანონ ინსტიტუტის დირექტორის სახელზე, თბილისი, კამოს ქ. № 43.

მეუღლე ხარლამპი, შვილები გიორგი, არჩილ, ციალა, ძმები ვალია, შალვა, და ლოლა, სიძე ნ. ლორთქიფანიძე, რძალი თამარ კოკლაშვილი; ელვირა, ვახტანგ, ბაგრატ, ვასილ იუწყებიან

ევგენია საბას ასულ ბახტაძე-კოპალეიშვილის

გარდაცვალებას. დაკრძალვა 6-III,5 ს. სოფ. ეწერში (სამტრედიის რ.).

მთავარობილისმშენის სამმართველოს კოლექტივი იუწყება

მიხეილ მათეს-ძე ვაინშტეინის

გარდაცვალებას. გაჩოსვენება 4-III, 5 ს. დავითაშვილის ქ. № 35.

შვილები მიხეილ, ვარო, სემიდა, ანა, თინათინ, რძალი: ბელაგია გოცირიძე, ლ. გელოვანი, გ. ჯაფარიძე ოჯახებით იუწყებიან

თებრონე მიხეილის ასულ გოცირიძის

გარდაცვალებას. დაკრძალვა 4-III, სოფ. ბოყვაში (ონის რ.).

შვილები დეზდემონა, ლამარა, ტარიელ, სიძე კ. ყიფიანი; ალექსანდრა ცინცაძე იუწყებიან

შურა მელიტონის-ასულ ღლონტი-ცინცაძის

გარდაცვალებას. პანაშვიდი 4,5-III, 8 ს. გამოსვენება 6-III, 4 ს. ბარნოვის ქ. № 26.

შვილები გიორგი, ნიკოლოზ, მარიამ, ანა, თამარ, სიძეები ვ. მჭედლიშვილი, კ. ბეჟუაშვილი ოჯახებით; ციალა შალვაშვილი იუწყებიან

ქეთევან ივანეს ასულ კანანაძის

გარდაცვალებას. დაკრძალვა 4-III, 4 ს. სოფ. შილდაში (ყვარლის რ.